# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროექტის ავტორები: მაკა გოგებაშვილი

ფატი სალუქვაძე

# სატელევიზიო პროგრამა - „თეატრალი“

სამაგისტრო პროგრამა: მედია და ახალი ტექნოლოგიები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჟურნალისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

ხათუნა კაჭარავა

ჟურნალისტიკისა და მასობრივი

კომუნიკაციების დეპარტამენტის

ასისტენტ-პროფესორი

თბილისი 2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Project Author: Maka Gogebashvili

Pati Salukvadze

# TV Program "Theatral”

Master’s degree Program: Media and New Technologies

Master of Journalism Thesis

Supervisor: Khatuna Kacharava

Tbilisi 2019

## სარჩევი

ანოტაცია ........ 4

Annotation ........ 5

**1. შესავალი ........ 6**

**2. ლიტერატურის მიმოხილვა ........ 10**

2.1 თეატრზე მოკლედ ........ 10

2.2 მნიშვნელოვანი გარდატეხა თეატრში ........ 12

2.3 თეატრის კრიტიკა და კრიტიკოსები ........ 15

2.4 კრიტიკის განხილვა ........ 17

2.5 თეატრი მედიაში ........ 19

2.6 თეატრალური ფესტივალები ........ 22

2.7 რეგიონული თეატრები ........ 23

**3. კვლევის მეთოდები ........ 24**

3.1 რაოდენობრივი კვლევის მეთოდები ........ 25

3.2 კონტენტ-ანალიზი

თეატრი ბეჭდურ მედიაში ........ 27

თეატრი XX საუკუნისა და დღევანდელ ტელე სივრცეში ........ 34

თეატრი რადიოში ........ 40

თეატრი ინტერნეტ სივრცეში ........ 42

3.3 შედარებითი კვლევის შედეგები ........ 45

**4. დასკვნა ........ 47**

**5. გამოყენებული ლიტერატურა ........ 48**

**დანართი ........ 49**

## ანოტაცია

თეატრი, დღევანდელ საზოგადოებაში აქტუალური საკითხია. მისი განხილვა, თავისივე სპეციფიკიდან გამომდინარე მრავალნაირად შეიძლება.

თეატრი, ერის კულტურის შემადგენელი ნაწილია. მას, განვითარება და ყურადღება სჭირდება.

თემა, ჟურნალისტური კუთხითაც საინტერესოა. მნიშვნელოვანია, რას აკეთებს მედია თეატრის პოპულარიზაციისათვის.

კვლევის მთავარი მიზანია, დადგინდეს, რამდენად უწევს პოპულარიზაციას ტელევიზია და რადიო თეატრს.

რა იყო ადრე და რა არის ახლა?

კითხვაზე პასუხის მისაღებად გამოყენებულია რაოდენობრივი, შედარებითი და შინაარსობრივი კვლევა. საკვლევად აღებულია XX საუკუნის მეორე ნახევრის ტელევიზია, რადიო და პრესა. ასევე, შესადარებლად - XXI საუკუნის იგივე მედია საშუალებები. შედარების შედეგად დადგინდა, რომ სატელევიზიო და რადიო პროგრამების რაოდენობა დიდ სახესხვაობას არ გვაძლევს. იცვლება მხოლოდ კონტენტი და პერსონაჟები.

რაოდენობრივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საზოგადოებას არ აკმაყოფილებს მედიის მიეერ მიწოდებული ინფორმაცია თეატრის შესახებ. ის ვიწროპროფილური და იშვიათია.

კვლევის შედეგად კამოიკვეთა ხალხის დამოკიდებულება და მოთხოვნილებები თეატრისა და მედიის მიმართ.

## Annotation

Theater is a very actual question for modern society. Based on its specificity it can be discussed in various ways.

Theater is a part of the nation's culture. It needs development and attention.

The topic is also interesting in journalistic terms. It is important what the media does in order to popularize theater.

The main goal of the research is to determine what broadcast media: television and radio do in order to popularize theater.

What was before and what is it now?

Quantitative, comparative and content research has been used to answer the question. Television, radio and press of the second half of the 20th century have been studied. Also, the same media outlets of the XXI century have been studied in order to make comparison. As a result of the comparison, the number of TV and radio programs does not give us a big change. Only content and characters are changed.

As a result of quantitative research, it has been found that the society has a lack of information provided by the media about the theater. The information is narrow-proof and rare.

As a result of the research, the attitudes and needs of people towards theater and media have been identified.

## შესავალი

„თეატრის აზრი უწინარესად ეს ყოფილა და დღესაც ის არის, რომ ბუნებას სარკედ გაუხდეს, სათნოებას მისი სახისმეტყველება აჩვენოს, ბიწიერებას მისი უმსგავსოება, დროებასა და ხალხს მისი ვითარება და ნაკვალევი. თუ ეს დანიშნულება ვერ შეასრულა, ან თუ გადაამეტა, იქნება რეგვენები გააცინოს, მაგრამ გაგებულს ადამიანს კი შეაწუხებს და ერთის გაგებულის შეხედულება უნდა გერჩიოს მთელის თეატრისას.“ - უილიამ შექსპირი.[1]

მართლაც, რა არის თეატრი? როგორ მოქმედებს ის საზოგადოებაზე? რა იყო ადრე და რა არის ახლა?

ნაშრომის მთავარი მიზანია გაიგოს, რამდენად ხდება თეატრის პოპულარიზაცია ტელევიზიისა და რადიოს მიერ?

კვლევის ჰიპოტეზა: მედია საშუალებები არასაკმარისად აშუქებენ თეატრალური ცხოვრების მიმდინარე მოვლენებს და ეს საზოგადოების ნაწილზე უარყოფითად აისახება.

თეატრი, ცოცხალი ორგანიზმია, იგი საზოგადოებასთან ერთად ვითარდება. მას აქვს დღევანდელი დღის რეალობის აღქმის უნიკალური უნარი. ის პასუხობს გამოწვევებს, რომელიც მაყურებლისგან აქვს. თეატრს აქვს უნარი, ადამიანს საკუთარი თავი გვერდიდან დაანახვოს, ჩააფიქროს და მიახვედროს ნაკლოვანებებს. იზრუნოს მის სულიერ და კულტურულ განვითარებაზე.

თეატრალური წარმოდგენის საფუძველი არის დრამა. თეატრის მიმდინარეობა რამდენიმე განშტოებად იყოფა: დრამატული თეატრი - ეს ის ადგილია, სადაც მსახიობები ლაპარაკობენ, ტირიან და იცინიან. პანტომიმაში კი, სათქმელს მოძრაობით გადმოსცემენ, ტირილისა და სიცილის გარეშე. მუსიკალური თეატრია ოპერა, მიუზიკლი, ოპერეტა - აქ მსახიობები, ცეკვავენ და მღერიან.

სპექტაკლი, რეჟისორის ხელმძღვანელობით იდგმება. შემოქმედებით ჯგუფში შედიან მხატვარი, კომპოზიტორი, ქორეოგრაფი და რა თქმა უნდა, მსახიობები. სპექტაკლის ხარისხი

[1] „ჰამლეტი"; უილიამ შექსპირი, ტრაგედიები, I ტომი; „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა", გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"; თბილისი, 1980 წ.

თანაბარ წილად არის დამოკიდებული როგორც რეჟისორზე, ასევე შემსრულებელ მსახიობებზე.

თეატრი, არის ორმხრივი ურთიერთობა. ეს არის მაყურებლებისა და მსახიობების ტანდემი. მაყურებელი, თეატრში, გარკვეულწილად, წინასწარ ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობითა და განცდებით მიდის. ის შეიძლება ეძებდეს პასუხს, გამოსავალს კონკრეტული სიტუაციიდან. ის, სცენაზე ნანახს, თავისი ცხოვრების პროექციად აღიქვამს. კონკრეტული პიესის, კონკრეტული პერსონაჟის გამოცდილების ნახვა, მას მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღებაში ეხმარება და მის ფსიქო-ემოციურ ბუნებაზე, მნიშვნელოვნად აისახება. მაყურებელი, სპექტაკლის უშუალო მონაწილე ხდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მაყურებლის წარმოსახვის უნარი, უდიდეს როლს ასრულებს, ორმხრივი კომუნიკაციის პროცესში.

თეატრი საინტერესო წიგნივითაა, მისი ყოველი ნახვისას, იზრდები და ახალ აღმოჩენებს აკეთებ. სპექტაკლმა, როგორც გაცოცხლებულმა ნაწარმოებმა, შესაძლოა მაყურებელს წიგნის ინტერესი გაუჩინოს და იმ ნაწარმოების წაკითხვისკენ უბიძგოს, რომლის მიხედვითაც არის დადგმული. ეს ერთგვარი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება წიგნისადმი გაუცხოებული ადამიანებბის შემობრუნებისაკენ.

თეატრი, ოდითგანვე იყო სოციუმზე ზემოქმედების უნივერსალური საშუალება. იგი სათავეს საბერძნეთიდან იღებს. მას ამფითეატრი ჰქვია. ამფითეატრის განლაგება განსხვავებულია. თანამედროვე, ოთხკუთხედი სცენის მაგიერ, იგი მრგვალია და ღია ცის ქვეშაა. სცენა დაბლაა ხოლო მაყურებელი ზემოთ.

თავდაპირველად, თეატრი ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. საშუალო და მაღალი ფენის წარმომადგენლებისთვის სულიერ საზრდოს წარმოადგენდა. თეატრს მრავალი დატვირთვა ჰქონდა. პირველ რიგში ის იყო ადგილი, სადაც იკრიბებოდნენ ერთი ფენის წარმომადგენლები, საუბრობდნენ, ეცნობოდნენ, ცვლიდნენ სიახლეებს და რაღათქმაუნა ესწრებოდნენ სპექტაკლებს.

ქართული თეატრის ისტორიაში, პირველად აფიშებზე, სპექტაკლი „გაყრა გამოჩნდა, (იხ. დანართი1) რომელიც გიორგი ერისთავის მიერ, თბილისის გიმნაზიაში დაიდგა. სწორედ ამ სპექტაკლის აფიშა თარიღდება 1850 წლის 2 იანვრით, რომელიც პირველი ქართული

აფიშაა. იგი ქართულ და რუსულ ენებზე იყო შედგენილი. თავადი გიორგი ერისთავი, ხალხს სპექტაკლის სანახავად მოუწოდებდა. როგორც პროფესორი, ვასილ კიკნაძე ერთ-ერთ მედიასაშუალებასთან ინტერვიუში[2] განმარტავს, გიორგი ერისთავმა ქართველი არისტოკრატიის მხარდაჭერით და რუსეთის მეფისნაცვალ ვორონცოვის ხელშეწყობით, გიმნაზიის, დღევანდელი თბილისის №1 სკოლის შენობაში დადგა პირველი სპექტაკლი, რომლის პიესის ავტორიცა და რეჟისორიც თავად იყო და სპექტაკლში ერთ-ერთი პერსონაჟის, სომეხი ვაჭრის როლსაც ასრულებდა.

სპექტაკლს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. იგი იდეურად მაშინდელ რეალობას ნათლად ასახავდა და მაყურებელზეც დიდ გავლენას ახდენდა. აქედან გამომდინარე, ქართველი პროფესორის თქმით, იმ ხანებში ეროვნული თეატრის აღორძინებას ქართველი ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა, თეატრალურ დასს უმძიმეს პირობებში უხდებოდა მუშაობა. მეფის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების შეფერხებისთვის ყველა ღონეს ხმარობდნენ. თეატრს წაართვეს შენობა და მძიმე ცენზურის ქვეშ მოექცნენ. ამას კი შედეგად მოჰყვა ის, რომ გახსნიდან მეექვსე წელს ერისთავის თეატრალური დასი დაიშალა და 70-იანი წლების ბოლომდე ქართველ დრამატურგთა პიესებს, მხოლოდ მოყვარული თეატრალები დგამდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ თეატრი დღეს განვითარების მაღალ საფეხურზე დგას. რაც გულისხმობს იმას, რომ მას აქვს შესაბამისი აღჭურვილობა, ჰყავს პროფესიონალი რეჟისორი და მსახიობები. აქვს დეკორაცია, რეკვიზიტები, განათება, მუსიკალური გაფორმება - მას ნაკლები ყურადღება ექცევა როგორც მაყურებლისა და მედიის, ასევე კრიტიკოსების მხრიდან. ახლა მას თავად სჭირდება აფიშირება, რომ ხალხი მიიზიდოს. გაცილებით მიძმე რეალობის წინაშე დგანან რეგიონული თეატრები.

საქართველოს ყველა კუთხესა და რაიონს აქვს თავისი თეატრი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის, ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული

[2] https://bit.ly/2JvfNoG

სახელმწიფო დრამატურგიული თეატრის, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის და გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის წარმატება ადგილობრივ და საერთაშორისო ფესივალებზე.

## ლიტერატურის მიმოხილვა

### 2.1. თეატრზე მოკლედ

თეატრი მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთსან. ის ნათლად ასახავს ამა თუ იმ პერიოდის ყოველდღიურობასა თუ გლობალურ პრობლემებს. თეატრი ხელოვნებაა და სპექტაკლი ხალხის პრობლემების თეატრალიზებული გადმოცემა. ის განსხვავდება წიგნებისაგან. პიესები ნაკლებად თვალსაჩინო და ძნელად აღქმადი შეიძლება იყოს. ხოლო სპექტაკლით გაცოცხლებული ამბავი, გაცილებით ექსპრესიული, შთამბეჭდავი და ქმედითუნარიანია.

თეატრი გაუცნობიერებლად ჯერ კიდევ მაშინ ყალიბდებოდა, როდესაც ადამიანები ეძებდნენ შეკრებისა და გართობის ადგილს, სანახაობასთან ერთად. ხალხის ეს მოთხოვნილება პროგრესირდა მათი ინტერესების ზრდასთან ერთად. ნელ-ნელა სანახაობები იხვეწებოდა და მასთან ერთად ვითარდებოდა საზოგადოებაც.

რაღა თქმა უნდა ეს ყველაფერი ვერ შედგებოდა სათეატრო დარბაზებისა და შესაბამისი აღჭურვილობის გარეშე.

თეატრი იყო ზუსტად ისეთი, როგორიც საზოგადოება. რაც შემდეგით გამოიხატებოდა - თეატრი თავიდან არ ცდილობდა მინიმალური ხერხებით გადმოეცა სათქმელი. რაც გულისხმობდა იმას, რომ მათი ჩაცმის სტილი და სცენის გაწყობა ჩვეულებრივი ყოფის ანალოგს წარმოადგენდა. სპეატაკლი იყო სანახაობრივი და ყურადღებას იქცევდა ვიზუალური მხარე.

თეატრისა და სპექტაკლის პოპულარიზაციის ძირითადი საშუალება აფიშა იყო, გარდა ინფორმაციის სიტყვიერად გავრცელებისა. აფიშებისთვის განკუთვნილი იყო სპეციალური დაფები, სადაც გამოკრული იყო დიდი ფორმატის აფიშები. რაც შეეხება აფიშის შინაარსს, იგი შეგდებოდა სპექტაკლის სახელწოდებისაგან, რომელიც გამორჩეულად დიდი ასოებით იყო დაწერილი, მითითებული იყო რეჟისორი და სამსახიობო დასი. აფიშა გაფორმებული იყო სპექტაკლის შესამისი ილუსტრაციით/ფოტოთი. ასევე აფიშაზე იყო მითითებული წელი, სპექტაკლის თარიღი და ბილეთის ფასი.

პირველი ქართული აფიშა, რომელიც დღემდეა შემონახული არის გიორგი ერისთავის სპექტაკლის „გაყრა“. (იხ. დანართი 1)

სპექტაკლი „გაყრა“ იყო სამ მოქმედებიანი კომედია. მოქმედი პირები იყვნენ, თავადი ანდუყაფარი, პავლე (მისი ძა), ივანე, კნეინა მაკრინე, კნიაჟნა ნინო, მიკირტუმ გასპარიჩ, თათელა (მისი ცოლი), შუშანა (მათი ქალი), თავადი რამაზი (სეკრეტარი), თავადი ბარძიმი, ზარამ მოურავი, გაბრიელი, იმერელი, ყარდაშვერდი.

## 2.2. მნიშვნელოვანი გარდატეხა თეატრში

ქართული ინტელიგენცია თავად ზრუნავდა იმისთვის, რომ ქართულ თეატრს ეარსება და ღირსეული წარმოდგენები გაემართა. თეატრის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე ილია ჭავჭავაძე თავის „რჩეულ წერილებში“ ამბობს, რომ თეატრი არის ის ადგილი, სადაც ქართველ ერს შეუძლია თავისუფლას ილაპარაკოს. თავად ილია ჭავჭავაძე, 1879 წელს „დრამატულმა კომიტეტმა“ დრამატული საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩია. რომლის წევრებიც იყვნენ: დიმიტრი ყიფიანი, დავით ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, გიორგი თუმანიშვილი, ნიკო ავალიშვილი და სხვა.

თეატრისთვის, შემდეგი გარდამტეხი პერიოდი საბჭოთა ეპოქა იყო. გიორგი ჯიბლაძე ნაშრომში „ოქტომბრის რევოლუცია და ქართული თეატრი“ წერს: „უდიდეს ისტრორიულ უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს საკეთილდღეო გავლენა კულტურის, კერძოდ თეატრის განვითარებაზე. მოვიგონით წარსულის რამდნეიმე ფაქტი. ცნობილია, რომ რევოლუციის შემდეგ რუსეთში არაერთი ძველი თეატრი დარჩა. ისინი ძველი იყო კადრებითაც და რეპორტუარითაც. მისი შემქმნელები და წარმომადგენლებიც კი რევოლუციას მოუმზადებელნი შეხვდნენ.

თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე, ხელოვნებას არასდროს არ ჰქონია ისეთი დიდი ფუნქცია, როგორც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დროინდელ სინამდვილეში. საბჭოთა ხელისუფლებამ თეატრს თავიდანვე განუსაზღვრა მოქმედების გეზი და ყველა ზომა მიიღო ახალი სინამდვილისათვის, მისი ჭეშმარიტი სამსახურის უზრუნველსაყოფად.“[3]

ისმის  კითხვა, რა გარდატეხა მოახდინა ოქტომრის რევოლუციამ თეატრში?

ამ კითხვაზე პასუხს კოტე მარჯანიშვილის ერთ-ერთ წერილში ვპოულობთ: „რუსეთის დიდმა რევოლუციამ და ახალმა სულმა, რომლითაც მან მოიცვა ქვეყნიერება, თეატრი დაუბრუნეს თავის ნამდვილ გზებს. ახალი პულსი სცემს თეატრის ცხოვრებაში, ის სწორდება და არა დღეს-ხვალ დადგება მტკიცედ ორივე ფეხზე. ჩვენ ვუცდით ამას, ეს ჩვენ

---

[3] საქართველოს თეატრალური საზოგადოება საბჭოთა თეატრი ოქტომბრის რევოლუციის 30-ე წლისთავზე; გიორგი ჯიბლაძე. გამომცემლობა „ხელოვნება“; თბ.,1948.

წინასწარ გვახარებს. ჩვენ სცენიდან გავდევნეთ ყოველგვარი ფილისტერები და მხარს ვუჭერთ ხალისიანი და დიდებული სინთეტიკური თეატრის შექმნას.“ [4]

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, თეატრი თავის ნამდვილ გზას დაუბრუნდა. შეიქმნა რეალისტურ-რომანტიკული თეატრი. ამ თეატრს შეეძლო სათმელი გარეგნული ეფექტების მაგიერ, შინაარსზე ყურადღების გამახვილებით გამოეხატა. ასეთი თეატრის დროშის აღმმართველი იყო მარჯანიშვილი.

ძველად თეატრი გამორჩეულ ადამიანთა გამბედაობასა და ნიჭს ემყარებოდა. ისინი, თეატრისათვის თავს მსხვერპლად სწირავდნენ. მხოლოდ გამონაკლისი ადამიანები ახერხებდნენ იმ სასტიკ რეალობაში თავისი შემოქმედებითი სიტყვა ბოლომდე ეთქვა.

თეატრის არსებობის 70 წლის მანძილზე მენშევიკურმა „სამოთხემ“ ქართული თეატრისადმი მოპყრობის, ყოველგვარ ცინიზმს გადააჭარბა. ფაქტობრივად გაანადგურა იგი და თავად თეატრის ხელმძღვანელები აიძულა ქართული თეატრის ლიკვიდაციის საკითხი დაეყენებინათ.

თითქოს თეატრის დაღუპვა გარდაუვალი იყო, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა თეატრის გაცოცხლებისა და წარმატებისათვის.

1921 წლის 25 ნომბერს მარჯანიშვილმა დადგა ესპანელი მწერლის, ლოპე დე ბეგას პიესა „ცხვრის წყარო“ (ფუენტე ოვეხუნა). ეს იყო ქართული საბჭოთა თეატრის პირველი გამარჯვება. ფაქტობრივად, მარჯანიშვილმა ქართულ სამსახიობო დასის ბრწყინვალე მსახიობები აღზარდა.

აღსანიშნავია, რომ „არტისტული საზოგადოების თეატრს“ რომელსაც 1921 წლის 25 ნოემბერს შოთა რუსთაველის სახელი ეწოდა, მარჯანიშვილმა დადგა შექსპირის „ჰამლეტი“. იქ გამოიკვეთა თანამედროვეობის აღქმის ტენდენციები.

ოქტომბრის რევოლუციამ წინსვლისკენ გზა გაუხსნა რეგიონულ თეატრებსაც. მაგალითად, ქუთაისის თეატრის კულტურული განვითარება ამის ნათელი მაგალითია.

[4] საქართველოს თეატრალური საზოგადოება საბჭოთა თეატრი ოქტომბრის რევოლუციის 30-ე წლისთავზე; გიორგი ჯიბლაძე. გამომცემლობა „ხელოვნება“; თბ.,1948.

ქუთაისის თეატრში მოდიოდნენ რუსული თეატრის კორიფეები და ქართველი ხალხისთვის, რუსი ხალხის მეგობრული განწყობა მოჰქონდათ.

აუცილებლად ცალკე აღსანიშნია ქართული საბჭოთა საოპერო ხელოვნება. ქართველი ერის საუკუნოვანმა მუსიკალურმა ისტორიამ, საოცარ წარმატებას მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების დროს. თმცა, 1921 წლიდან მოყოლებული, მათ ბრძლისთვის არსებობა არ შეუწყვეტიათ.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ოპერებისა და ბალეტების მრავალფეროვან რეპერტუარს. მაგალითად, ზაქარია ფალიაშვილის შედევრებს: „დაისი,“ ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“, მელიტონ ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი,“ „აბესალომ და ეთერი“ და სხვა.

## 2.3. თეატრის კრიტიკა და კრიტიკოსები

თეატრი, ვერ იარსებებს კრიტიკის გარეშე. ჯანსაღი კრიტიკა ხელს უწყობს თეატრის განვითარებას. კრიტიკა თავის თავში მხოლოდ უარყოფით შეფასებას მოიაზრებს. ის „გარჩევის ხელოვნებაა." კრიტიკას, ჯერ კიდევ მაშნ ეყრებოდა საფუძველი, როდესაც სპექტაკლზე მისული მაყურებელი ნანახს განიხილავდა. კრიტიკა იყო კულტურილი ხიდი მაყურებელსა და თეატრს შორის.

„კრიტიკოსი არის ადამიანი, რომელსაც უნარი შესწევს ახალი ფორმით ან საშუალებებით გადმოგვცეს მშვენიერებასთან შეხებით მიღებული სიამოვნება."[5]

ზოგიერი თეორეტიკოსი მიიჩნევს, რომ კრიტიკა, მაყურებელზე მნიშვნელოვანია, თუმცა, ირინა ღოღობერიძე „თეატრი-კრიტიკა-საზოგადოება: რანი ვართ და რისთვის ვწერთ" წერს - „ყველამ კარგად ვიცით, რომ სპექტაკლის წარმატება თუ წარუმატებლობა, საბოლოო ჯამში მაინც მაყურებლით, მისი სიმრავლით, მისი აპლოდისმენტებით განისაზღვრება, მით უფრო დღეს, როცა სპექტაკლი გასაყიდ პროდუქციად მოიაზრებაგანსაკუთრებით თეატრის მენეჯერებისა და სპონსპრების თვალთახედვით."[6]

კრიტიკოსმა ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს საკუთარი ხელობა და სპექტაკლს პროფესიონალურად აფასებდეს. მნიშვნელოვანია, რომ დარბაზში მჯდომი კრიტიკოსი მაყურებლის რეაქციის დაფიქსირებას ახერხებდეს.

კრიტიკოსები ყოველთვის არ ითვალისწინებენ მაყურებლის შეფასებას.

„ცნობილი ფრანგი ტეორეტიკოსი და კრიტიკოსი პტრის პავი თვლის, რომ კრიტიკოსის სამი ძირითადი მახასიათებელი ასე გამოიყურება:

- კრიტიკოსი მაყურებლის ნაწილია;
- კრიტიკოსი თეატრის ექსპერტია;

---

[5] ირინა ღოღობერიძე - „თეატრი-კრიტიკა-საზოგადოება" გამომცემლობა „კენტავრი". თბილისი 2011.

[6] კულტურული ხიდი.
თეატრი მაყურებელი კრიტიკა: „ბერმუდის სამკუთხედი„ თუ „წმინდა სამება"
საკონფერენციო მასალების კრებული.
ირინა ღოღობერიძე - „თეატრი-კრიტიკა-საზოგადოება: რანი ვართ და რისთვის ვწერთ."
გამომცემლობა „კენტავრი"
თბილისი 2011.

- კრიტიკოსი ინტელექტუალია.“

ბერნარ დორის კრიტიკის შესახებ ამბობს, რომ „არსებობს ორი სახის კრიტიკა - მომხმარებლური და სხვანაირი. მომხმარებლური მომხმარებლური ანუ ტრადიციული, ძირითადად ჟურნალისტური კრიტიკაა და საშუალოდ იდეალურ მაყურებელზეა გათვლილი;[7] „სხვანაირ“ კრიტიკაში ბერნარ დორი გულისხმობს თეატრმცოდნეობის წიაღში შექმნილ სამეცნიერო ან საუნივერსიტეტო კრიტიკას.“

ერთია, იქმნებოდეს კრიტიკა და მეორეა, მიდიოდეს მაყურებლამდე. კრიტიკის გზა, თეატრიდან მაყურებლამდე მედიაზე გადის. თავის მხრივ კრიტიკა რთული შესაქმნელია, ეს გამოწვეულია თეატრალური ფორმების სიახლეებითა და მრავალფეროვნებით. რაც შემდეგში გამოიხატება: მაგალითად, თეატრალური სანახაობა იყენებს სხვადასხვა ხერხს, სათქმელის გადმოსაცემად. ეს იქნება პლასტიური ხელოვნება, ცირკის ელემენტები, ტექნო სიახლეები თუ სხვა.

კარგი კრიტიკოსი ფეხს უნდა უწყობდეს თეატრის სიახლეებს და ზუსტად იცოდეს რა ენით, როგორ ფასდება, თეატრალური წარმოდგენის ესა თუ ის ასპექტი.

თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ანდრე კამპი ამბობდა: „კრიტიკოსობა სახიფათო პროფესიაა. პირველ რიგში არასდროს დაჯდე, თორემ სცენიდან ვინმე შეგნიშნავს. იძულებული იქნები, შეხვიდე მასთან და ქათინაურებით აავსო. უნდა გიყვარდეს თეატრი და არა შენი თავი თეატრში. და რაც მთავარია თეატრალურ სამყაროში ლიდერობა არასოდეს ისურვო, ლიდერები იქ ისედაც მრავლადაა. ჯობია განზე გადგე, უფრო კარგად გამოჩნდები.“[8]

თეატრი, ცოცხალი ხელოვნებაა და შესაბამისად კრიტიკაც ოპერატიული უნდა იყოს.

---

[7] კულტურული ხიდი. თეატრი მაყურებელი კრიტიკა: „ბერმუდის სამკუთხედი„ თუ „წმინდა სამება“ საკონფერენციო მასალების კრებული. ირინა ღოღობერიძე - „თეატრი-კრიტიკა-საზოგადოება: რანი ვართ და რისთვის ვწერთ.“ გამომცემლობა „კენტავრი“. თბილისი 2011.

[8] კულტურული ხიდი.თეატრი მაყურებელი კრიტიკა: „ბერმუდის სამკუთხედი„ თუ „წმინდა სამება“ საკონფერენციო მასალების კრებული. ირინა ღოღობერიძე - „თეატრი-კრიტიკა-საზოგადოება: რანი ვართ და რისთვის ვწერთ.“ გვერდი 14; გამომცემლობა „კენტავრი“ თბილისი 2011

## 2.4. კრიტიკის განხილვა

ქართული თეატროლოგიის თეორეტიკოსის და კრიტიკოსის ვახტანგ ქართველიშვილის რჩეული წერილებიდან გთავაზობთ ერთ-ერთი სპექტაკლის კრიტიკის მოკლე მიმოხილვას.

სპექტაკლი „ყვარყვარე თუთაბერი“ მუსიკალური კომედიის თეატრში. – „მუსიკალური კომედიის თეატრის ეს წარმოდგენა თეატრის მიმდინარე რეპერტუარის ფონზე გარკვეულ სიახლედ აღიქმება. სხვა სპექტაკლებისაგან აშკარად გამოირჩევა თავისი ხარისხითა და საშემსრულებლო კულტურით. ცხადია ხარვეზებისაგან იგი არაა დაზღვეული, მაგრამ გაცილებით უფრო საგულისხმოა მისი ღირსებები. სხვა რომ არაფერი, მარტო ის რად ღირს, რომ გუნდი აქ მწყობრად ჟღერს ხოლო ორკესტრი ა. მამაცაშვილის დირიჟორობით სავსებით პროფესიულ დონეზეა.

პოლიკარპე კაკაბაძის ქმნილებამ ჩვენი საოპერეტო თეატრი არსებითად პირველად შეჰყარა ქართულ დრამატურგიულ კლასიკას.“[9]

კრიტიკოსი ასევე აღნიშნავს კომპოზიტორის წვლილს და მიაჩნია, რომ ნ. გაბუნიამ „შექმნა მრავალხარისხოვანი მუსიკალური პარტიტურა.“

ვახტანგ ქართველიშვილის თქმით, სპექტაკლის მუსიკაში ვხვდებით „ძველებურ სალონურ მოტივებს, საეკლესიო საგალობლების ინტონაციებს, სხვა ინტონაციურ ნაკადებსაც. მაგრამ მეთოდიკა ძირითადად ემყარება ქართული ხალხური მუსიკის წყაროს, კერძოდ იმერულ კილოკავს.“

კრიტიკოსის თქმით, აღსანიშნავია რეჟისორ თ. აბაშიძის მონდომება და ძალისხმევა, რომელიც „ყვარყვარე თუთაბერისთვის“ დაუღალავად იღვწოდა. „რეჟისორ, თ. აბაშიძეს შინაგანად უნდა შეემზადებინა მსახიობები გართულებული სცენური ამოცანების დასაძლევად, ხარისხობრივად ახალი პარტიტურისათვის უნდა მოენახა სტერეოტიპს დაღწეული, სარწმუნო სცენური ფორმა და თუ რუსთაველელთა სცენაზე, „ყვარყვარე“ ფილოსოფიურ იგავად იგულეს, მუსიკალური კომედიის თეატრში იგი ბუფონადად განსხეულდა.“

---

[9] ინტელექტუალურისა და რომანტიკულის ზღვარზე.ვახტანგ ქართველიშვილი„ყვარყვარე თუთაბერი“ მუსიკალური კომედიის თეატრში.“ გვ.64-65

ვახტანგ ქართველიშვილი დასკვნით ნაწილში აღნიშნავს, რომ „რეჟისორის უკანასკნელი რეპლიკა - სცენიდან გაძევებული ყვარყვარეს ჩამოყვანა, სადირიჟორო პულტთან აზრობრივად ჰკრავს მთელ სპექტაკლს.“

რეჟისორი თავისი უკანასკნელი რეპლიკით მოგვიწოდებს საზოგადოებრივი აქტივობისაკენ, „რათა, ყოველ დროს აღარ ჰყავდეს თავისი ყვარყვარე, რათა ყვარყვარესთანა ადამიანებმა, ველარასოდეს იგდონ ხელთ ცხოვრების სადავეები.“[10]

[10] გაზეთი „ქართული თეატრის დღე“ 14 იანვარი. 1976 წელი

## 2.5. თეატრი მედიაში

თეატრის პოპულარიზაციისთვის, აუცილებელია სპექტაკლების გაშუქება. მედია ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა ცნობადობის გასაზრდელად.

„თეატრალური სპექტაკლების კინო, ან (და) ვიდეოფირზე გადატანას მისი კინოეკრანზე, ან სატელევიზიო დემონსტრირებისათვის დიდი ხნის ისტორია აქვს. როგორც კინოს ისტორია იტყობინება, თეატრის კინოეკრანზე გადატანის პირველი პრეცედენტები უკვე უხმო კინოს პერიოდშია შექმნილი, რომლებიც, სავარაუდოდ, გამორჩეული თეატრალური სპექტაკლების მონაწილე მსახიობების კინოფირზე დაფიქსირებას ისახავდა მიზნად“.[11]

ასევე, აღსანიშნია, რომ „თეატრი, როგორც დროში განვითარებადი პროცესის ამსახველი ხელოვნება, კინემატოგრაფისათვის არა მხოლოდ ესთეტიკის მხრივ წარმოადგენდა საფუძველს, არამედ საყრდენს იმ სპეციალისტთა კადრების რესურსის თვალსაზრისითაც, რომლებიც კინოწარმოებაში მოდიოდნენ. ცხადია, პირველ ეტაპზე ესენი იყვნენ არც მთლად ნიჭიერი და წარმატებული თეატრალები, რომლებიც თავიანთ ადგილს (ზოგჯერ კი უბრალოდ – შემოსავალს) ეძებდნენ ახალ საქმეში, რომელმაც თავიდან ბევრ – ხელოვნებისაგან საერთოდ შორს მდგომ – ადამიანს მოუტანა ფინანსური წარმატება“.[12]

საქართველოს თეატრალური ხელოვნების კინო და სატელევიზიო ფორმების თემატური არეალი, უმეტესწილად, ქართული კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის გამორჩეული ნიმუშებია. საკმარისია გადავხედოთ თუნდაც მხოლოდ `სატელევიზიო თეატრის~ რეპერტუარს, რომ დავრწმუნდებით, თუ როგორ უწყობდა იგი ხელს ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციას ტელემაყურებელთა შორის. გამოჩენილი ქართველი მწერლების ნაწარმოებების ინსცენირებები იკავებდა მისი პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს. დავით კლდიაშვილის („ბაკულას ღორები“, „ირინეს ბედნიერება“, „სოლომონ მორბელაძე“, „უბედურება“), ლავრენტი არდაზიანის („სოლომონ ისაკიჩ

---

[11] დავით გუჯაბიძე. თეატრალური ხელოვნების ეკრანული ფორმების შექმნა-განვითარების თავისებურებები ქართულ მედია-სივრცეში. 1.თავი- ფილმ-სპექტაკლები XX საუკუნის 50-60–იან წლებამდე -გვ.10

[12] დავით გუჯაბიძე თეატრალური ხელოვნების ეკრანული ფორმების შექმნა-განვითარები თავისებურებები ქართულ მედია-სივრცეში 3 თავი თეატრალური სპექტაკლების გადაღების პრაქტიკა და ტექნოლოგიები საქართველოში - გვ.135-138

მეჯღანუაშვილი“), გიორგი ერისთავის („უჩინმაჩინის ქუდი“), კონსტანტინე გამსახურდიას („ვაზის ყვავილობა“), მიხეილ ჯავახიშვილის („თეთრი კურდღელი“, „ჯაყოს ხიზნები“), გურამ გეგეშიძის („ჟამი“), ნოდარ დუმბაძის („მარადისობის კანონი“, „კუკარაჩა“), გურამ დოჩანაშვილის („იოჰან სებასტიან ბახი“, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, „ის პატარა სიყვარული, დამალვა რომ სჭირდება“, „ხორუმი ქართული ცეკვაა“), ჯემალ ქარჩხაძის („ოპერაცია“ „დეიდა ტასო“), გივი ჯოხაძის („ტანტრე ბიჭის ოჯახი“) და ქართული მწერლობის სხვა ნიმუშების ეკრანიზაციები შეადგენენ „სატელევიზიო თეატრის“ არქივის მნიშვნელოვან ნაწილს.“[13]

ეს სპექტაკლები გადადიოდა ეკრანზე და შუქდებოდა მაშინდელი საქართველოს ტელევიზიაში. დროთა განმავლობაში, ტელევიზამ მოუკლო სპეტქკლების ეკრანზე გაშვებას.

გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები: „თბილისი“, „ ლაპარკაობს და გადმოსცემს თბილისი“, „ლიტერატურული საქართველო“, „კვირის პალიტრა“, სადაც ყოველ გამოცემაში იბეჭდებოდა სატელევიზიო პროგრამის ბადე, იბეჭდებოდა აფიშები, რომელიც გამოკრული იყო ქუჩებსა და თეატრების მისაღებ დარბაზებში.

უშუალოდ სპექტაკლების გაშუქების გარდა, იყო თეატრალური ამბების განხილვა, საუბრები რეჟისორებთან და მსახიობებთან.

რაც შეეხება პრესას, აქტიურად იბეჭდებოდა თეატრალური საკითხები, მკითხველიც ჰყავდა და სპექტაკლის ირგვლივ მრავალ საკითხს განიხილავდნენ, მათ შორის სპექტაკლს მოყოლილ შეფასებებსა და ემოციებს, რაც ერთგვარად კრიტიკის საწინდარი. მაგ; გაზეთში „თბილისი“ 1970წ; 7 იანვარი, დაიბეჭდა სტატია „თეატრის გამარჯვება“, სადაც საუაბრი იყო პოლონური დრამატურგიის ფესტიავლზე, რომელიც საქართველოში გაიმართა და წარმატებული აღმოჩნა რუსთავის დრამატული თეატრის მონაწილეობა.

(იხ. დანართი 2)

ასევე, აქტიურად შუქდებოდა „ოპერისა და ბალეტის თეატრის“ წარმატებები, დებიუტები, რემიერები და სხვა. მაგ; გაზეთში „თბილისი“ 1970 წ; 14 იანვარი დაიბეჭდა

[13] დავით გუჯაბიძე. თეატრალური ხელოვნების ეკრანული ფორმების შექმნა-განვითარების თავისებურებები ქართულ მედია-სივრცეში 3 თავი თეატრალური სპექტაკლების გადაღების პრაქტიკა და ტექნოლოგიები საქართველოში - გვ.135-138

თეატრის დღესთან დაკავშირებული სტატია-14 იანვარი ქართული თეატრის დღეა, სათაურით- დიდი შემოქმედებითი აღმავლობით. (იხ. დანართი 3)

ასევე, დაიბეჭდა სტატია-„ ახალგაზრდების დებიუტი"-სტატია ეხებოდა სპექტკლ „ქეთო და კოტეს" ორ დებიტუანტს შემსრულებლს, ნანა ჭონქაძესა და ლევან ასათაიანს.(იხ. დანართი 4).

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო" 1987 წ. 1 იანვარი, დაიბეჭდა ორი სტატია-„ თეატრი ხალხის სამსახური", წინაასახალწლო პრემიერა", (იხ დანართი 5).

რადიოსაც დიდი წვლილი შეჰქონდა თეატრის პოპულარიზაციაში. გადიოდა გადაცემა „თეატრი მიკროფონთან"-გადიოდა ყოველდღიურად.

1985 წლის 7 იანვარს, ორშაბათს, გავიდა. თაბუკაშვილი, შენკენ სავალი გზები, კოტე მარჯნაიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი.

1985 წლის სამშაბათი- „თეატრი მიკროფონთან"-ბ. ბრეხტი, „კავკასიური ცარცის წრე", შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი.

ასევე, გადიოდა „რადიოდადგმა". ერთ-ერთი მაგალითია- მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყივილი".

დღეს, ტრადიციულ მედია საშუალებებს დაემატა ინტერნეტ მედია, რომელიც უფრო სწრაფი, თვალსაჩინო და ხელმისაწვდომია.

ბლოგზე შეუძლია დაწეროს ნებისმიერმა მსურვლემა, ამისთვის, პოპულარობა და ნებართვა საწირო არ არის. მაგრამ, ძირითადად, მაინც თეატრის კრიტიკოსები წერენ თეატრზე, სპექტაკლებსა და პრემიერებზე.

დღეის მდგომარეობით, არც ისე მდიდარი ლიტერატურა აქვს ამ ინტერნეტ მედიას. ბლოგები იწერება იშვიათად და მკითვხელიც ნაკლები ჰყავს. როგორც ყველა სხვა საკითხზე, აზრის გამოხატვის ძირითადი საშუალება სოციალური ქსელია დღეს და მკითხველიც გაცილებით აქტიურია.

### 2.6 თეატრალური ფესტივალები

თეატრალური ფესტივალები მნიშვნელოვან როლს ასრულებს თეატრის განვითარებაში, ცნობადობის გაზრდასა და მსახიობისა თუ რეჟისორების წახალისებაში. ქართული თეატრები დიდ წარმატებას აღწევენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ფესტივალებზე.

საქართველოში იმართება: მიხეილ თუმანიშვილის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი", საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს ნიღაბი", თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალია „თბილისი ინტერნატიონალ", „კომედიის თეატრალური ფესტივალი", რეგიონული თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალი", ქუთაისის თეატრალური ფესტივალი "თეატრალური იმერეთი" და სხვა.

სხვადასხვა ფესტივალზე თეატრებს იწვევენ სხვადასხვა ნიშნით. ეს იქნება დრამის თუ კომედიის ფესტივალი. ფესტივალები ყოველთვის დატვირთულია მრავალფეროვანი პროგრამით.

ყოველი ფესტივალი არის ახალი გამოწვევა თითოეული თეატრისათვის, მსახიობებისათვის, რეჟისორებისათვის. იქნება პროფესიონალი თუ მოყვარული დასი.

ყოველ წელს ფესტივალებში ახალი ტენდენციები იკვეთება, რაც ერთგვარი მასტერკლასია ფესტივალის თითოეული მონაწილისათვის.

## 2.7. რეგიონული თეატრები

რეგიონული თეატრების პოპულარიზაციას ბოლო 4-5 წლის განმავლობაში, წინა წლებთან შედარებით, აქტიური ყურადღება ექცევა.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რეგიონული თეატრების რეპერტუარის განახლებია და გაზრდის მიზნით, წამოიწყო ინციატვია, რომლის ფარგლებშიც, თავიანთ სარეჟისორო ფაკულტეტის, მაგისტრის სტუდენტებს, აგზავნიან სხვადასხვა რეგიონში, ახალი სპექტაკლების დასადგმელად.

რეგიონული თეატრებს დიდი ისტორია აქვთ. თბილისის თეატრთან შედარებით მათი ცნობადობა დაბალია. ეს მედიის ნაკლები ყურადღებით არის გამოწვეული.

რეგიონული თეატრის შემოქმედება, ძირითადად, ადგილობრივი ტელევიზიების საშუალებით შუქდება.

გურჯაანის ტელევიზია სისტემატიურად უშვებს კახეთის რეგიონში, ძირითადად, თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დადგმულ სპექტაკლებს, აშუქებს მათ პრემიერებსა და მიღწევებს. აჭარის ტელევიზიას აქვს თეატრალური გადაცემა „არტ ექსპერტი“ და „სცენა“.

რეგიონული ტელევიზიების გარდა, „რადიო იმედში“ გადის გადაცემა „ავანსცენა“, მისი წამყვანი ნიკოლოზ წულუკიძე,მოწვეულ სტუმრებთან ერთად, დაწვრილებით საუბრობს სხვადასხვა რეგიონული თეატრის პრობლემსა თუ შემოქმედებაზე. მათ მიღწევებზე, მსახიობებზე.

## 3. კვლევის მეთოდები

ჩვენი კვლევის მთავარი მიზანია გავიგოთ, რამდენად ხდება თეატრის პოპულარიზაცია ტელევიზიისა და რადიოს მიერ? როგორ შუქდებოდა თეატრის საქნიანობა ადრე და რა მდგომარეობაა ამ მხრივ ახლა.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოვიყენეთ რამდენიმე კვლევის მეთოდი, კერძოდ: რაოდენობრივი კვლევა, კონტენტ-ანალიზი და შედარებითი კვლევა.

რაოდენობრივი კვლევის გამოყენებით, შევეცადეთ, დაგვედგინა რას ფიქრობს ხალხი თეატრზე? რა სიხშირით ესწრება სპექტაკლს? რა გზით იგებს სპექტაკლის შესახებ? რა მოსწონს? და რას შეცვლიდა?

კვლევის მეორე მეთოდად ავიღეთ კონტენტ-ანალიზი. ვნახეთ მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული დღემდე არსებული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები 15 წლის ინტერვალით.

ასევე, ვნახეთ ტელევიზიები. ფაქტია, ვერ ვნახავდით 1970 წლის სატელევიზიო კადრებს, თუმცა ვნახეთ 1970, 1985 წელს გამოშვებული გაზეთები, სადაც განთავსებული იყო სატელევიზიო და რადიო პროგრამა. ამან საშუალება მოგვცა დაგვეთვალა და ერთმანეთისთვის შეგვედარებინა ტელევიზიასა და რადიოში თეატრის საკითხების გაშუქების სიხშირე. მათი მატება და კლებადობა.

მესამე მეთოდი, რომელიც გამოვიყენეთ არის შედარებითი ანალიზი. შესადარებლად ავიღეთ ძველი და ახალი პრესა,  თანამედროვე ტლეევიზია და რადიო, ასევე, ინტერნეტ ბლოგები. ასე შევეცადეთ გაგვეცა კითხვაზე პასუხი, თუ როგორ შუქდებოდა თეატრის საქნიანობა ადრე და რა მდგომარეობაა ამ მხრივ ახლა.

## 3.1 რაოდენობრივი კვლევის შედეგები

რაოდენობრივი კვლევის მეთოდით ჩავატარეთ ორი განსხვავებული გამოკითხვა. პირველი გამოკითხვის შედეგად, (იხ. დანართი 10, 10.1, 10.2, 10.3, 10.4 ) რომელიც google forms-ის მეშვეობით ჩავატარეთ შემდეგი შედეგი მივიღეთ:

- გამოკითხულთა უმრავლესობა მდედრობითი სქესის არის.
- გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი 18-25 წლამდე იყო. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ იგივე კითხვარით ქუჩაში გამოგვეკითხა საზოგადოება. ძირითადი აქცენტი 55 წელს გადაცილებულ ადამიანებზე გავაკეთეთ. შემდეგ შევაჯამეთ გუგლისა და ქუჩის გამოკითხვა და გავედით შედეგზე.
- გამოკითხულთა უმრვლესობა თეატრში იშვიათად, დაახლოებით 1-2 ჯერ დადის. კითხვაზე, „ხშირად ესწრებით თუ არა სპექტაკლებს?“ გამოკითხულთა მეოთხედმა მოულოდნელი პასუხი გასცა - „არ ვყოფილვარ თეატრში 3 წელია“.
- გვინდოდა გაგვეგო რისთვის დადიან ადამიანები თეატრში. უმრავლესობა ამას ესთეტიკური სიამოვნებისთვის აკეთებს. ზოგს მსახიობების ნახვა სურს, ნაწილს კი „რაიმე ახლის გაგება უნდა“.
- გამოკითხულთა თეატრალური გემოვნების საკითხი, არც ისე სადავო აღმოჩნდა და ხმები, თითქმის გადანაწილდა, ფსიქოლოგიურ დრამას, კომედიასა და ტრაგიკომედიას შორის.
- კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მთავარი კითხვა იყო თუ რომელი წყაროებიდან იგებენ სპექტაკლის შესახებ? როგორც აღმოჩნდა, თეატრის შესახებ ძირითადად ინტერნეტით იგებენ, თუმცა უმრავლესობის სურვილია სატელევიზიო რეკლამებიდან ინფორმაციის მიღება.
- ასევე გასათვალისწინებელი ფაქტია, რომ თეატრის მაყურებელთა თითქმის 63%-ს სპექტაკლის ბილეთის ფასის შეცვლა სურს.
- გამოკითხულთა ძირითადი ნაწილის პასუხი ღია კითხვაზე, რას აძლევს თეატრი მაყურებელს, ძირითადად სულიერებისა და კულტურის ამაღლება იყო. ასევე თეატრი „სარკედ“ მიაჩნიათ და სპექტაკლიდან ემოციებით სავსე, ახალი ცოდნითა და გამოცდილოებით გამოდიან.

გამომდინარე იქიდან, რომ სამაგისტრო პროექტის სიუჟეტი დავუთმეთ რეგიონულ თეატრებს, რაოდენობრივი კვლევის მეორე კითხვარი ამ საკითხს ეხებოდა. (იხ. დანართი 11, 11.1, 11.2, 11.3, 11.4, 11.5)

- გამოკითხულთა ასაკი თანაბრად გადანაწილდა. მდედრობითი სქესი პროცენტულად ჭარბობდა.
- გამოკითხულთა 57% არ ყოფილა თბილისის გარდა სხვა თეატრში. კითხვაზე, რამდენად იცნობენ თავიანთი კუთხის შემოქმედებას, გულწრფელი პასუხი მივიღეთ, თითქმის 50%-ს წარმოდგენა არ აქვს თავისი რეგიონის თეატრის შემოქმედებაზე.
- კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ გამოკითხულთა თითქმის 80%-ს ნანახი აქვს სატელევიზიო გადაცემა თეატრზე, თუმცა 84%-ს არ აკმაყოფილებს სატელევიზიო სივრცეში გასული სიუჟეტები თეატრზე და 95%-ზე მეტს მიაჩნია, რომ მედიაში გასული ინფორმაცია თეატრის პოპულარიზაციისთვის არ არის საკმარისი.
- გამოკითხულთა უმრავლესობამ, ღია კითხვაზე - „რა სახის ინფორმაციის მიღებას ისურვებდნენ რეგიონულ თეატრებთან დაკავშირებით სატელევიზიო სივრცეში" თითქმის ერთგვაროვანი პასუხები მივიღეთ - მათ სურთ მიიღონ ინფორმაცია რეგიონული თეატრების შემოქმედებაზე, ნახონ ბევრი სპექტაკლი და გაიცნონ უცნობი, ნიჭიერი მსახიობები.

### 3.2 კონტენტ-ანალიზი

### თეატრი ბეჭდურ მედიაში

თეატრების პოპულარიზაცია და გაშუქება, ძირითადდ, გაზეთების საშუალებით ხდებოდა. 1970 წელს გამოდიოდა ყოველდღიური გაზეთი „თბილისი“, მის გვერდებზე სისტემატურად იბეჭდებოდა თეატრის აფიშა. გაზეთში „თბილისი“ აფიშას ერქვა „ხვალ თეატრებში“. მაგალითისთვის, აფიშა შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი:

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოკერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური „ევგენი ონეგინი“ (დღისით), ერთ მოქმედებიანი ბალეტის საღამო.

რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი „სამანიშვილს დედინაცვალი“. (დღისით).

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური „მთვარიოტაცება“. (დღისით).

„ძველი ვოდევილები“. (საღამოს)

ვასო აბაშიძი სახელობის მუსიკალური კომედიის „საბედისწერო ოპერაცია“ (დღისით).

„სიმღერა თბილისზე“ (საღამოს).

გაზეთი „თბილისი“ 7 იანვარი, აფიშა:

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური „ქეთო და კოტე“ (დღისით) „გორდა“ (საღამოს).

ასეთივე, დღისა და საღამოს აფიშა იყო რუსთაველის, მარჯანიშვილის, მუსიკალური კომედიისა და მოზარდ მაყურებელთა თეტრში.

ვნახეთ 1 კვირის სრული პროგრამა, აფიშა ყოველდღე იცვლეობოდა, იყო განსხვავებული რეპერტუარი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ 1970 წელს თეატრი მოთხოვნადი იყო, ჰყავდა მაყურებელი, ჰყავდა დიდი სამსახიობო დასი და თეატრის წარმატებაზე ორიენტირებული რეჟიისორები.

გაზეთის აშიფაში არ არის მითიტებული ბილეთების ფასი, აქედან გამომდინარე, ვერ ვიმსჯელებთ იმაზე, რა ღირდა დახლოებით სპექტაკლზე დასწრება, განსხვავება იყო თუ არა ფასებს შორის ადგილების მიხედვით.

აფიშებზე ასევე არ წერია სპექტაკლში მონაწილე მსახიობთა სახელი და გვარები, არც დამდგმელი რეჟისორია მითითებული.

1970 წლის საგაზეთო თეატრის აფიშებზე მხოლოდ თეატრის სრული დასახელება და სპექტაკლის სახელწოდება ეწერა. ასევე, აფიშებიდან ირკვევა, რომ სპექტაკლები ორნაწილად იყო, დღის პირველ ნახევარში და საღამოს. მაგ; „ქეთო დაკოტე" (დღისით); „ხანუმა" (საღამოს).

ასევე, არსებობდა და მოღვაწეობდა „თოჯინების ქართული თეატრი", რომელიც სკოლებში მართავდა წარმოდგენებს და აფიშაზე შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი: 11 ს. და 1 ს. მე-60 სკოლა „გულივერი ლილიპუტების ქვეყანაში". 3 ს. 22-ე და 123-ე სკოლები.

ასევე, დრო და დრო აფიშებზე რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზიც ჩნდებოდა და ჩვეულებრივ, პროფესიონალურ სპექტაკლებს სთავაზობდ ამაყურებელს.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი. ოპერის აფიშა იბეჭდებოდა თეატრის გვერდით, ცალკე გრაფაში, თუმცა, მხოლოდ საოპერო წარმოდგენები არ იმართებოდა. მაგ; „ორშაბათს, 12 იანვარს, სამშაბათს 13იანვარს, სქართველოს ხალხური ცეკვისა და სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების, სახელმწიფო პრემიის ლაურეატების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მხატვრული ხელმღვანელობით. დრო და დრო იბეჭდებოდა ასევე ზოგიერთი რეგიონული თეატრის გასტროლების დრო და ადგილი. მაგ: რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები რკინიგზელთა სახლში. (პლეხანოვის პროსპ. # 127) 22 იანვრიდან 3 თებერვლამდე, 22 იანვარს; მ. გორკი „ფსკერზე" 23 და 31 იანვარს, 1 თებერვალს, დღისით. ზ.სკოვრონსკი „მაესტრო" 24 იანვარს, 1 თებერვალს. ე. როსტანი „სირანო დე ბერჟერაკი" 25 იანვარს დღისით და საღამოს, 30 იანვარს,

ასე გრძელდებოდა, მთელი კვირის პროგრამა. სხვა თეატრების აფიშებისგან განსხვავებით, მითიტებული იყო სპექტაკლის დაწყების დრო. ასევე -„მიიღება დაკვეთბი კოლექტიურ დასწრებაზე."

ცირკიც თეატრალური წარმოდგენის ერთ-ერთი სახეა, ამიტომ აქვე აღვნიშნავთ, რომ გაზეთის გვერდებზე რამდენჯერმე შეგვხვდა ცირკის აფიშაც, რა თმა უნდა, ცირკი, თავისი სფეციფიკიდნა გამომდინარე, ყოველ დღიურად და ყოველთვიურად წარმოდგენებს ვერ გამართავდა. მაგ: -თბილისის სახელმწიფო ცირკი 1969-70 წწ. სეზონი, დიდი საცირკო წარმოდგენა „არბატელი ბიჭები“, უზბეკეთის სახალხო არტისტის. ნ. ზარიპოვის ხელმძღვანელობით; „საჰაერო ფრენა“....

შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1970 წლის საქართველოში, თეატრს, ტელევიზიასთან შედარებით, პრესა გაცილბით დიდ დროსა და ადგილს უთმობდა. ეს ძირითადად, აფიშების მეშვეობით ხდებოდა, თუმცა, იბეჭდებოდა სტატიცებიც, რამდნეიმე მაგალითს ქვემოთ განხვიხილავთ.

1987 წლის გაზეთში, „ლიტერატურული საქართველო“ თეატრის შესახებ ბევრი სტატია გვხვდება. ისინი ერთმანეთისგან შინაარსობრივად განსხვავდება. ზოგი მათგანი გასული სპექტაკლის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, ნაწილი კი მსახიობების, რეჟისორებისა და სხვა თეატრისთვის მნიშვნელოვანი მონაწილეების შესახებ. გაზეთში ასევე სტატიებს თემატიკიდან გამომდინარე თანდართული აქვს ფოტო მასალა. (იხ. დანართი 6) გაზეთში, „ლიტერატურული საქართველო“ სტატიაში „წინასაახალწლო პრემიერა“ წერია, რომ „ახალი წლის წინ მახარაძის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა თემურ აბულაშვილის ორნაწილიანი დრამა „ფრინველების საქორწინო ცეკვები.“

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ოთარ კუტალაძე, მხატვარი - მამია თუთაიშვილი, კომპოზიტორი - აჭარის ასსრ დამსახურებული მოღვაწე თენგიზ შამილიძე, ქორეოგრაფი - ავთანდილ დარჩია.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა მადლენა დონაძემ, მსახიობებმა - რევაზ სარიშვილმა, ეთერ მუჩიაურმა, სულიკო კიკვაძემ, ბელა კიკვაძემ, ნინო ჯუღელმა, მილორსი ტოროტაძემ და სხვებმა. სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.“ - როგორც ვხედავთ სტატია მოცულობით პატარა, მაგრამ ინფორმაციულია. ასევე სტატია შეეხება დასავლეთ საქართველოს თეატრს, რაც პოზიტიური ტენდენციაა, რეგიონული თეატრის პოპულარიზაციისთვის.

ზემოთ ხსენებულ გაზეთში ასევე ვხვდებით სტატიას ქართველი საოპერო მომღერლის, პაატა ბურჭულაძის შესახებ. სტატიაში მოთხობილია იმ საოპერო სპექტაკლების შესახებ, რომელშიც იგი მონაწილეობდა. სტატიაში ასევე წერია, რომ ქართველ მაყურებელს, საშუალება ჰქონდა ტელეეკრანზე ეხილა ის 7 სპექტაკლი, რომელშიც პაატა ბურჭულაძემ „ლა სკალაში" იმღერა. ამის მაგალითზე ჩანს, რომ ქართული თეატრი არა მხოლოდ ბეჭდურ მედიაში იყო ხელმისაწვდომი, არამედ ტელეეკრანებზეც შეიძლებოდა მისი ხილვა. სტატიაში ასევე ჩართულია უცხოელი სფეროს სპეციალისტების შეფასბები, რომლებიც აღწერენ პაატა ბურჭულაძის საოცარ ხმასა და საშემსრულებლო ოსტატობას.

1987 წლის გაზეთში, „ლიტერატურული საქართველო", 6 თებერვლის ნომერში ვხვდებით 8 სტატიას, რომელიც გაზეთის 2 გვერდს მოიცავს, ფოტოებთან ერთად. სტატიებში საუბარია ვერიკო ანჯაფარიძის გარდაცვალებაზე. სტატიებში საუბარია ვერიკო ანჯაფარიძის მოღვაწეობაზე და იმ როლებზე, რომელიც მან შექმნა. ასევე არის გამოსამშვიდობებელი წერილი, რომელსაც მედეა ჯაფარიძე უძღვნის. გამოსამშვიდობებელი წერილი არის ასევე მიხეილ თუმანიშვილისგანაც.

„ხორცშესხმა სულისა" - ამ სათაურით ვხვდებით თამარ ერისთავის სტატიას გაზეთში „ლიტერატურული საქართველო",, რომელიც ბალეტს, კონკრეტულად კი ნინო ანანიაშვილს და მის მოღვაწეობას შეეხება. „ნინო ანანიაშვილი - ჟიზელი - ადამიანური არსებობის ის გამოვლინებაა, როცა სხეული სავსებით ემორჩილება სულს: მის ყოველ მოძრაობას გამოხატავს, მის ყოველ მისწრაფებას განასახიერებს, მის ყოველ აღმაფრენას მიჰყვება ზესკნელში" - ნათქვამია სტატიაში. აქ ხაზგასმულია ნინო ანანიაშვილის შესრულების მანერა, მისი პროფესიონალიზმი და გრძნობა, რომელსაც იგი ბალეტში დებს. (იხ. დანართი 7)

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ 1987 წლის გაზეთში, „ლიტერატურული საქართველო" ორი თვის განმავლობაში, იანვარსა და თებერვალში 25 სტატია დაიბეჭდა თეატრის შესახებ. სტატიები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. იგი შეეხებოდა როგორც დრამატულ თეატრს, მის მსახიობებს, რეჟისორებს, ასევე ბალეტსა და ოპერას. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაზეთში ცალკე არის სტატია ახალგაზრდულ სპექტაკლზე. სტატიაში ვკითხულობთ: „სანდრო ახმეტელის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა პრემიერა - ახალგაზრდა დრამატურგის, თამაზ ბაძაღუას ორმოქმედებიანი პიესა „ღუზა ჩაუშვი ანგელოზო!". სპექტაკლის დამდგმელი

რეჟისორია ქეთევან ხარშილაძე. მხატვრობა ეკუთვნის ლევან ჭიჭინაძეს, კომპოზიტორია ოთარ რამიშვილი. როლებს ასრულებდნენ ირაკლი ნიჟარაძე, ელენე ქუთათელაძე, მარინე შაშნიაშვილი, მარინე ხარჩილავა, მევლუდ კუპატაძე, ნანა ქემაშვილი, ალეკო ალავიძე და ნუკრი ფაცურია. სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.“

მიუხედავად იმისა, რომ სტატია სტილისტურად წინა სტატიის მსგავსია, ის მაინც პოზიტიურად მიიჩნევა, რადგან თეატრს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდულ თეატრსა და სპექტაკლებს პოპულარიზაციაში ეხმარება.

„ლიტერატურული საქართველოსგან“ განსხვავებულია 1985 წლის გაზეთი „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი.“ მასძი ძირითადად ტელე და რადიო პროგრამა იბეჭდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიხედვით ტელე პროგრამაში ნაკლებად შეიმჩნევა გადაცემა თეატრის შესახებ. რაც შეეხება რადიოს აქ ორი სახის გადაცემას ვხვდებით. ერთი არის გადაცემა „თეატრი მიკროფონთან“, აქ სხვადასხვა თეატრების მიერ დადგმული სპექტაკლების აუდიო ვერსია, ხოლო მეორეა რადიოდადგმა, სადაც სხვადასხვა ავტორის პიესებს კითხულობდნენ. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რადიოში რადიოდადგმები განსხვავდებოდა შინაარსითა და აუდიტორიით. მაგალითად: ორშაბათს, 7 იანვარს, 17:15 საათზე - ბავშვებისათვის - „ორი მერცხალი“ რადიოდადგმა გადიოდა. ხოლო ოთხშაბათს, 9 იანვარს, 15:00 საათზე, ეთერში გადიოდა მ. ჯავახიშვილი - „მიწის ყივილი“. რადიოდადგმა. ამ გადაცემას არ აქვს მინიშნება, რომ იგი ბავშვებისთვისაა განკუთვნილი.

გაზეთში „ლაპარაკობს და უჩევენებს თბილისი“ ტელე-პროგრამაში მხოლოდ ერთი გადაცემაა თეატრის შესახებ. „თეატრი და დრო - მესხეთის თეატრში“.

გაზეთში „ლაპარაკობს და უჩევენებს თბილისი“ 14-20 იანვრის გამოცემაში ვხვდებით სტატიას სათაურით „ქართული ტეატრის დღე.“ სტატიაში მოცემულია ვრცელი ანოტაცია იმის შესახებ, რომ 14 იქანვარს აღინიშნება ქართული ტეატრის დღე.

„ჩვენი თეატრი ამ ტრადიციულ ზეიმს ფართოდ ეხმაურებიან ტელევიზიისა და რადიოს თეატრალური ხელოვნებისა და დრამატული პროგრამების რედაქციები.

ქართული თეატრისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემას წარუძღვება თეატრმცოდნე პროფესორი, ნათელა ურუშაძე, რომელიც მოგვილოცავს ქართული თეატრის

დღეს, შემდეგ დაასახელებს მარჯანიშვილის სახელობის პრემიისა და „ხუთწლედის მატიანის“ პრემიის ლაურეატებს, თანამედროვე თემაზე შექმნილ წლის საუკეთესო სპექტაკლებს, მსახიობებს, თეატრი მხატვრებს, ნახავთ სცენებს დაჯილდოებული სპექტაკლებიდან. იქნება ინტერვიუ საქართველოს სსრ სახალხო არტისტ ედიშერ მაღალაშვილთან, რომელსაც 60 წელი შეუსრულდა.

გადაცემაში მონაწილეობს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ბადრი კობახიძე. 14 იანვარს გთავაზობთ რადიო-კომპოზიციას „ქართული თეატრის დღე.“ (იხ. დანართი 8.)

აღნიშნული სტატია თეატრის პოპულარიზაციის ძალიან კარგი საშუალებაა. იგი საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას მრავალფეროვანი გადაცემის შესახებ, რომელიც გადმოიცემა არა მხოლოდ ტელეეთერის საშუალებით, არამედ რადიოს მეშვეობითაც.

გაზეთის მეშვეობით ასევე ვრცელდებოდა ინფორმაცია ტელე-პრემიერის შესახებ. „ნაძვნარა ტყის ამბავი“, რომელიც 18 იანვარს, 18:05 საათზე ეკრანთან იწვევდა პატარებს, საახალწლო მიუზიკლის სანახავად.

„საქართველოს ტელევიზიის მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქცია გთავაზობთ საბავშვო მიუზიკლს „ნაძვნარა ტყის ზღაპარი“, რომლის ლიბრეტო ეკუთვნის გივი ჭიჭინაძეს, მუსიკა ამ ლიბრეტოს მიხედვით დაწერა ირმა სოხაძემ.

სპექტაკლში მსახიობების - სანდრო თომაძის, ირაკლი აფაქიძის, გიორგი ფირცხალავას, თემო ჭიჭინაძის, ირმა სოხაძის გვერდით მონაწილეობენ ნორჩი შემსრულებლები.

მიუზიკლში ასევე მონაწილეობენ თბილისის მაისის რაიონის ქორეოგრაფიულ საზოგადოებასთან არსებული სტუდიის ნორჩი მოცეკვავეები. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია: ავთანდილ იმნაძე, მხატვარი - ნანა აბრამიშვილი, ქორეოგრაფი - ავთანდილ ძნელაძე, წამყვანი ტელეოპერატორი - გურამ გაფრინდაშვილი. ძვირფასო ბავშვებო! გიწვევთ ცისფერ ეკრანებთან ჩვენს საახალწლო მიუზიკლზე.“ (იხ. დანართი 9)

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ანონსი საკმაოდ ინფორმაციული სახისაა. იგი საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს როგორც დიდისთვის, ასევე პატარა მაყურებლისთვის.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ბეჭდური მედია თეატრის პოპულარიზაციისთვის დიდ როლს ასრულებდა. რაც გამოიხატებოდა ტელე-რადიო პროგრამის, ანონსის, ანოტაციის თუ მიმოხილვის გამოქვეყნებით. რომ აღარაფერი ითქვას ცნობილი შემსრულებლის შესახებ გამოქვეყნებული ინტერვიუების შესახებ.

**თეატრი XX საუკუნისა და დღევანდელ ტელე სივრცეში**

თეატრის პოპულარიზაციაში მედია დიდ როლს თამაშობს. განსაკუთრებით კი ტელევიზია. მაყურებლისთვის მნიშვნელობა აქვს ნანახ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია მისი დაინტერესება. თუ მაყურებელი ნახავს საინტერესო გადაცემას, სიუჟეტს, თეატრის შესახებ იგი აუცილებლად მოისურვებს სპექტაკლის ნახვას.

გაზეთი „თბილისი" 1970 წლის 6 იანვარი. სატელევიზიო პროგრამა- 17:30 სთ- ბავშვებისთვის- სპექტაკლს „წითელქუდას" ტრანსლაცია მოზარდ-მაყურებელთა საელმწიფო ქართული თეატრიდან. გაზეთი „თბილისი" 11 იანვარი- 11:30 სთ. ბავშვებისთვის- ბალეტი „ექიმი აიბოლიტი", ტრანსლაცია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა დაბალეტის სახელმწიფო თეატრიდან. 2 კვირის სატელევიზო პროგრამაში მხოლოდ ზემოაღნიშნული ორი გადაცემა გვხვდება თეატრთან და სპექტაკლებთან დაკავშირებით. მიმდინარე წლის, თებერვლის თვის 1-14 ინტერვალში გადაცემა თეატრზე, ან რომელიმე სპექტაკლის ეკრანიზაცია არ გვხვდება. ამავე წლი 1-14 მარტის სატელევიზიო ბადეში თეატრი და სპექტაკლი ისევ მივიწყებულია. არის სატალევიზიო ტრანსლაციები ოპერისა დ აბალეტის თეატრიდან, მაგრამ, არა სპეექტაკლის.როგორც აღვნიშნეთ, ტელევიზიაში არც ის ედიდი ყურადღება ეთმობოდა თეატრებს. სტატიები „გაზეთი თბილისი" 1970 წ. 7 იანვარი, სტატიის სათაური „ თეატრის გამარჯვება"

სტატიაში გადმოცემულია რუსთავის სახლმწიფო დრამატული თეატრის წარმტება, რომელსაც პოლონური დრამარუტგიის ფესტივალში მიაღწიეს, მათ დადგეს . სკავრონსკის პიესა „მაესტრო", ის დადგეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ და თეატრის მთავარმა რეჟისორმა სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, გ. ლორთქიფანიძემ. სტატიაში გადმოცემულია, მთლიანი შემოქმედებითი დასის წარმატება ფესტივალებზე და მათი ჯილდოები. 14 იანვარი ეს დღეს, ქართული თეატრის დღეა. ამ დღესსთან დაკავშირებით, თეატრს ორი საშუალო ზომით სტატია დაეთმო.

„დიდი შემოქმედებითი აღმავლობით", როგორც აღმოჩნა, 1970 წლის 14 იანვარი იყო 120 წლისთავი თეატრის დაარსებიდან, საუბარი იყო, თეატრისათვის შეგროვებულ შმეოწირულობებზე, რევოლუცი ქართული თეატრის როლზე,თეატრის აყვავების ხანად 1922

წელს მიიჩნევდნენ და იმ დროისთვის 25 პროფესიული დასი იყო, რომელიც ქართულ, რუსულ, სომხურ,აფხაზურ და ოსურ ენებზე დგამდა წარმოდგენებს.

სტატიის ბოლოს კი საუბარი იყო, გამოჩენილი ქართველი რეჟისორის, დოდო ალექსიძის თეატრიდან წასვლაზე და შედარებით ნორჩი რეჟისორებისთსა თუ მსახიობებისთვის, გზის დათმობაზე. ფაქტობრივა, ერთ სტატიაში ჩატეული იყო, თეატრის დაარსება, განვითარების გზები, არსებობის რესურსები, თეატრების არსებობის სტატისტიკა, მოყვანილი იყო რამდნეიმე რეჟისორი და პიესა, ვრცლა დიყო გაშლილი, რევლოუციური თეატრის იმდროინდელ მნიშვნელობის საკითხი და ბოლოს მთავრდებოდა მარჯანიშვლის თატრის „დონ კარლოსის“ ქებით. მეორე სტატია ოპერას მიეძღვნა, სახელწოდებით „ახალგაზრდების დებიუტი“. აქ საუბარი იყო საოპერო სპექტაკლის, გ. დოლიძის „ქეთო და კოტე“-ს დებიუტანტ შემსრულეებლებზე ნანა ჭონქაძესა და ლევან ასათიანზე, რომლებიც მაყურებელმა გულთბილად მიიღო. 18 იანვარი- სტატიის სახელწოდება „ მოზარდს თეატრში მიუხარია“. ეს სტატია ეხებოდა ახალგაზრდა მაყურებლის თეატრისადმი სიყვარულს.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, იმ დროისათვის, (1970 წ.), აქტიურად თუ არა, მაინც შუქდეოდა თეატრთან დაკავშირებული საკითხები, ასვე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო თეატრის აფიშების გაზეთებში გამოქვეყნება, რადგან ხალხი გაზეთებს კითხულობდა და უფრო მარტივდა იგებდნენ სპექტაკლების შესახებ. ეს თეატრის პოპულარიზაციას უწყობდა ხელს, ჰყავდათ მაყურებელი, იყიდბეოდა მილეთები და ჰქონდათ სტიმული, დაედგათ სპექტაკლები და განეხალებინათ რეპერტუარი. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ იბეჭდებოდა მათი გასტროლების ზუსტი მისამართი და დრო, ესეც, გარკვეულწილად მატებმდა მაყურებელს.

რაც შეეხება სტატიებს, კვირაში ერთხელ იბეჭდებოდა, მაგრამ იყო მოცულითი და თეატრის ირგვლივ, ბევრ საკითხს ეხებოდა.

დღეს დღეობით, ერთ-ერთი გადაცემა ტელესივრცეში, რომელიც თეატრს შეეხება არის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“. აღნიშნული გადაცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, ყოველ კვირას, 18:30 საათზე გადის. გადაცემის წამყვანია, ზურა ყიფშიძე. „გადაცემათა ციკლი „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ მოიაზრება, როგორც მივიწყებულ ქართველ მსახიობთა,

რეჟისორთა, მწერალთა, სკულპტორთა, მუსიკოსთა და მხატვართა პორტრეტები – გახსენება მათი შემოქმედებითი და პირადი ცხოვრების.

გადაცემა ჩაფიქრებულია, როგორც ვიდეოფილმი, 26 წუთიანი ქრონომეტრაჟით, კვირაში ერთხელ.“ - ვკითხულობთ გადაცემის აღწერაში, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის საიტზეა განთავსებული.

გადაცემა, „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ ერთი ნაწილისგან შედგება. თავდაპირველად, წამყვანი, ზურა ყოფშიძე იმ პიროვნების შესახებ შესავალს აკეთებს, ვისაც გადაცემის მთავარი თემა შეეხება. გადაცემა მდიდარია დოკუმენტური კადრებით. ისინი ასახავს პიროვნების მოღვაწეობის მნიშვნელოვან მომენტებს. მაგალითად, ერთ-ერთი გადაცემა, რომელიც ცნობილ ქართველ მსახიობს, გივი ბერიკაშვილს შეეხება ტრადიციულად, წამყვანის სიტყვით იწყება, შემდეგ კი კადრებია ფილმიდან „ლონდრე“, რომელშიც მსახიობი მთავარ როლს ასრულებს.  გადაცემაში, დოკუმენტური მასალის გარდა მრავლადაა სხვადასხვა მსახიობისა თუ რეჟისორის მოგონებები გივი ბერიკაშვილთან დაკავშირებით. ესენია: მსახიობი კახი კავსაძე, რეჟისორი გოგი თოდაძე, მსახიობი ტრისტან სარალიძე, დრამატურგი რევაზ კლდიაშვილი, მსახიობის შვილები, ზურა ბერიკაშვილი და მანანა ბერიკაშვილი, და შვილიშვილი ანი მაისურაძე. გადაცემა კი კვლავ წამყვანის, ზურა ყოფშიძის სიტყვებით სრულდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გადაცემა ამომწურავი და ინფორმაციულია. მიუხედავად ამისა, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს თეატრის პოპულარიზაციისთვის საკმარის მასალად, რადგან გადაცემა კონკრეტული პიროვნებების პორტრეტებს ასახავს და არა თეატრის დღევანდელ თუ წარსულ ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ასევე აღსანიშნია საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“ და მისი გადაცემა „განთიადი“, სადაც აშუქებენ თეატრისთვის მნიშვნელოვან მოვლენებს, იქნება ეს მომავალი ფესტივალის ანონსი თუ მაგალითად ბოლო დროის სიახლე, რომ „თეატრალურ უნივერსიტეტში ინკლუზიური ცეკვის პროგრამა ხორციელდება“. გადაცემაში ასევე იწვევენ სტუმრებს, თემატიკიდან გამომდინარე.

ქუჩაში გამოკითხული საზოგადოების ანკეტებიდან, დავადგინეთ, რომ რეგიონული თეატრები ნაკლებად ან თითქმის არ არის ცნობილი ხალხისთვის. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს,

რომ რეგიონული თეატრები დასაწუნი ან დასამალია. პირიქით, რეგიონებში გვაქვს საუკუნოვანი თეატრები, მაგ; ჭიათურის თეატრი, თელავის თეატრი და ა.შ.

რეგიონული თეატრები ტელევიზიის გაშუქების გარეშეც აღწევენ წარმატებებს, დგამენ სპექტაკლებს, გამუდმებით ანახლებენ რეპერტუარს, ერგებიან თანამედროვეობას, ამავდროულად, არ ივიწყებენ ტრადიციებს და ასე, სინთეზურად, ძველისა და ახლის შერწყმით, მსახიობების ოსტატობითა და რეჟისორის მონდომებით დადგმული პიესებით მოდიან დღემდე. მონაწილობას იღებენ სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალში, ეს იქნება, დრამისა თუ კომედიის და დამსახურებულად იღებენ დაწესებულ ჯილდოებს. რეგიონული თეატრების მოღვაწეობა სცდება არა მარტო რეგიონებს, არამედ ქვეყნის საზღვრებსაც და იქაც საოცარი მოწონებით სარგებლობენ.

დავინტერესდით,  როგორ აშუქებენ რეგიონული თეატრის მოღვაწეობას, თავიანი რეგიონის ტელევიზიები. სატელევიზიო პროგრამების ნახვისა და დაკვირვების შედეგად, დავადგინეთ, რომ ამ მხრივ, ყველაზე აქტიური არის აჭარის ტელევიზია.

აჭარის ტელეიზიას აქვს გადაცემა ART ექსპერტი. გადაცემა კტურისა და ხელოვნების საკითხებს ეხება, ანიხილავენ ამ სფეროს როგორც დადებით მხარეებს, ასევე პრობლემურ საკითხებს. საუბრობენ სამომავლო გეგმებსა და ხელოვნების დარგების განვითარების აუცილებელ პირობებზე. ART ექსპერტის წამყვანი არის ხათუნა მანაგაძე. გადაცემას აქვს ასევე ფეისბუკ ლაივის რეჟიმი, რაც გაცილებით მეტად ზრდის გადაცემის ყურებადობას, გამომდინარე იქიდან, რომ დღევანდელობაში, აღნიშნული სოციალური ქსელი გაცილებით პოპულარული დ აყურებადი, ვიდრე ტელევიზია.

გადაცემა გადის პარასკევობით, ძირითადად, ერთი სტუმარი იშვიათად არის სტუდიაში. გაყოფილია, ორ ნაწილად და თუ პირველ ნაწილში, კულტურის დეპარტაენტის წარმომადგენელი ზოგად საკითხებზე საუბრობრობს, მეორე ნაწილი ეთმობა რომელიმე მუსკოსს, მსახიობს, რეჟისორს, სპექტაკლს, მის განხილვას, სამომავ გეგმზს და ასე შემდეგ, გადაცმა მრავალფეროვანია იმ მხრივაც, რომ სიუჟეტად გადის რომელიმე თეატრმცოდნის, კრიტიკოსისა თუ სხვა სპეციალობის წარმომადგენლის საუბარი გადაცემაში მოცემულ საკითხებზე, ეს გადაცემას უფრო საინტერესოსა და ინფორციულს ხდის. საინტერესოა გადაცემა ART ექსპერტის დაწყება. ეკრანზე მონაცვლეობით ჩანან სხვდასხვა ეპოქის

ხელოვნების დარგის ძირითადი წარმომადგენლები. თუმცა, მხოს თეატრის საზოგადოებას არ ვხვდებით: ნოდარ დუმბაძე, ოტია იოსელიანი, რამაზ ჩხიკვაძე, კახი კავსაძე,ლევან აბაშიძე, ნინო რამიშვილი, ლიკა ქავჟარაძე, იპოლიტე ხვიჩია და სხვა..

ეს ხერხი, მაყურებელს აძლევს საშუალებას, თავისდაუნებურად, გაიხსენოს ქართული შემოქმედების ძირთადისემქმნელები და წარმომადგნელები. მათი ფეისბუქ ლაივის მაყურებელთა რაოდეობის მიდეით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადაცემას მაღალი რეიტინგი აქვს და დპოპულარობითაც სარგებლობს.

შეჯამებისთვის, ART ხელოვნება, ღირსეულად მსახურობს თეატრისა და კულტურის სფეროში და საზოგადოებამდ ემიაქვს სწორი, რეალური და სასარგებლო მესიჯები. ასევე, აჭარის ტელევზიაში გადის გადაცემა „სცენა“, გადაცემაში საუბარი ყველაფერზე, რაც სცენას ეხება და იქ ხდება: სპექტაკლი, საოპერო და სბაალეტო წარმოდგენები... გადაცემაში ხშირად შეხვდებით თეატრების, რეჟისორების ექსპერიმენტებს, მათ წარმატებებზე საუბარს, კრიტკას, მსახიობების შეხედულებებს, მათი განსახიერებული პერსონაჟების ემოციებსდა განცდებს, მაყურებლის შეფასებებსა და კომენტარებს. ასევე, საუბარია ცალკე დრამატურგებზე, გრიმზე, რაც თერის განუყოფელი ნაწილია. გადაცემა 13 წელია გადის ეთერში, საკვლე პერიოდად, 6 თვე ავიღეთ და არც ერთ გააცემაში არ შევხვდერილვართ გამეორებას. ყოველი გადაცემა იყო საინტერესო, თეატრის მოყვარულთათვის მრავლისმიმწოდებელი და განმავითარებელი. გადაცემა გადის ოთხშაბათობით, ავტორი არის ინგა ხალვაში, რეჟისორი - თამაზ შეწირული, ქრონომეტრაჟი 25 წთ. აჭარის ტელევიზიის თეატრალური გადაცემების შეჯამებისთვის, უდავოდ დგას თეატრის სამსახურში. როგორც აღვნიშნეთ, სატელევიზო ბადეში ჩასმულია ორი გადაცემა „ART ხელოვნება“ და „სცნა“, სადაც, უშუალოდ განიხილება თეატრთან დაკავშებული ყველა საკითხი და საყურადღებოა ისიც, რომ ეს არ ეხება მხოლოდ რეგიონულ თეატრებს,პირიქით-საქართელოს მასშტაბით თეატრში მიმდეინაე მოვლენებს.

რადგან რეგიონული თეატრებზე საუბარი კახეთიდან დავიწყეთ, (გურჯაანი, თელავი, ველისციხე) გადავწყვიტეთ, გვენახა, რა მდგომარეობაა მათ ტელევიზიებში კულტურის თეატრის გაშუქების მხრივ. გურჯაანის ტელევიზიაა არ აქვს თეატრალური გადაცემა, თუმცა, ვნახეთ სიუჟეტები, მელიც უშუალოდ ზემოჩმაოთვლილ თეატრებს ეხებოდა, თელავის, გურჯაანისა და ველისციხის თეატრის რეჟისორებთან საუბრისა და გურჯაანის ტელევიზიაში გასული სიუჟეტების თარიღების ნახვის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი

პერმანენტულად  აშუქებენ თავიანთი თეატრების საქმანობას, არ აქვთ გამოტოვებული პრემიერები, მნიშვნელოვანი წარმატებები თუ გასტროლები. აღსანიშნ  ფაქტად მივიჩნიეთ, რომ ისინი მთლიან სპექტაკლებს უჩვენებენ ტელევიზიაში. არხზევე განთავსებული ინფორმაციის შედეგად, ვერ ვიტვოდით, რომ ზღვა მაყურებელი ჰყავს ეთერში გასულ სპექტალზს, თუმცა,  როგოც ყყველა სხვა სფეროს, თეატრსაც აშკარად ჰყას თავისი ერთგული მაყურებელი.

შეჯამებისთვის, ბოლო 1 წლის განმავლობაში, გურჯაანის ტელევიზიით, გასულია 66 სიუჟეტი (ამაში შედის მთლიანი სპექტალებიც, 17 სპექტაკლი, ვხვდებით გამეორებას).

რეგიონულ ტელევიზიეზზე მათივე თეატრებთან დამოკიებულების საკითხი, ასე შიძლება ჩამოვაყალიბოთ- რეგიონულ ტელიზიებს ყურადღების მიღმა ნამდვილად არ რჩებათ თავიანთი თუ სხვა თეატრები, ისინი ეხმაურებიან მათ წარმატებებსა და სიახლეებს.

განსკაუთრებით აღსანიშნი, მაინც  აჭარის ტელევიზიაა (საზოგადოებრივი მაუწყებელი), რომელიც ღირსეულად არის ჩართული თეატრალური საზოგადოების სამსახურში და დაუღალავად აშუქებს თატრსა და მასთან დაკავშირბეულ ყველა საკითხს.

## თეატრი რადიოში

რადიო გადაცემები მნიშვნელოვან ნაწილად მივიჩნიეთ, რადგან, ტელევიზიის შემდეგ, დიდი პოპულარობით სარგებლობს და საკმოად მოსახერხებელია საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელსაც გამუდმებით უწევს მანქანით გადაადგილება და არა მხოლოდ მათთვის. ავიღეთ ერთი კომერციული და ორი საზოგადოებრივი ტელევიზია. „იმედი“, „პირველი არხი“ და „აჭარის ტელევიზია“. საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს რადიო რადიოთეატრი „დაინახე, რაც გესმის’. გადაცემა გადის ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა. 12:30 სთ-ზე. გადაცემაში იკითხება სხვადასხვა მწერლის ნაწარმოები, მხატვრულად კითხულობენ მსახიობები.

ვფიქრობთ, ეს არის ერთ-ერთი ჭკვიანური და  გზა საზოგადოების წიგნიერების ასამაღლებლად, რაც შემდეგ უშუალოდ იმოქმედებს მათი თეატრალური სურვილების გაღვივებაზე. გაუჩნდებათ მოსმენილის სცენაზე ნახვის სურვილი. ეს არის რადიოთეატრი და ის ნამდვილად ეხმარება თეატრს, მიიზიდოს მაყურებელი, დააინტერესოს და აჩვენოს ის, რაც მოისმინა.

რადიო „იმედს“ თეატრზე აქვს გადაცემა „ავანსცენა“, წამყვანი არის თეატრმცოდნე, კრიტიკოსი, ნიკოლოზ წულუკიძე. გადაცემის ფორმატი მოიცავს ყველაფერს თეატრის შესახებ. საუბრებია როგორც თბილისის, ასევე, რეგიონული თეატრებზე, თეატრალურ ფესტივალებზე, ღონისძიებებზე, სიახლეებზე და სხვა. გადაცემა ორ ბლოკად არის გაყოფილი. ასევე, იმართება შეხვედრები სხვადასხვა მსახიობთან. იამრთება საუბრები კინოს, თეატრისა და ლიტერატურის სფეროს ერთიანობაზე, იხსნებენ ძველი თაობის მსახიობებს, სოფიკო ჭიაურელს, ოთარ მეღვინეთუხუცესს და ა.შ.

შეჯამებისთვის, გადაცემაში „ავანსცენა“, საუბრბეია ყველაფერზე, მსახიობით დაწყებული, სასცენო რეკვიზიტებით დამთავრებული. მსმენელი ასევე, ინფორმაციას იღებს სხვადასხვა ფესტივალის არსებობისა და იქ მიმდინარე მოვლენების შესახებ, ფესტივალების დატვირთვასა და მნიშვნელობაზე. იგებენ ამა თუ იმ თეატრის რეჟისორებისა და მსახიობების მიღებულ ჯილდოებზე. „საუკეთესო მსახიობი მამაკაცი“, „საუკეთესო მსახიობი ქალი“, ჯილდო რეჟისორს, სწორად შერცეული მსახიობისთვის და სხვა.

ეს გადაცემა ხელს უწყობს როგორც საერტოდ თეატრების, ასვე ახალგაზრდა მსახიობებისა თუ რეჟისორების ცნობადობის გაზრდას, მართალია, რაიდო არ არის ტელევიზა და გამოსახულბა არ გააჩნია, თუმცა, „ავანსცენას“ აქვს ფეიბუკ ლაივი, სადაც, ჩვეუელბრივად შეიძლება ნახოს მაყურებელმა მიწვეული მსახიობები. რადიო იმედს თეატრზე სხვა გადაცემა არ აქვს.

## თეატრი ინტერნეტ სივრცეში

გარდა ტრადიციული მედია საშუალებებისა, შედარებით ახალია ინფორმაციის განთავსება ონლაინ პლატფორმებზე. არიან ბლოგერები, რომლებიც თეატრის კრიტიკას და ზოგადად თეატრის შესახებ ინფორმაციას საკუთარ ბლოგზე განათავსებენ. ასეთები არიან, გიორგი ყაჯრიშვილი, თამარ კიკნაველიძე, ლილი ფოფხაძე, მაკა ვასაძე, ნუცა კობაიძე და ლაშა ჩხარტიშვილი.

„ლაშა ჩხარტიშვილის ბლოგი თეატრის შესახებ", არის პირველი ქართული თეატრალური კრიტიკის ბლოგი. იგი 11 ივლისს 10 წლის ხდება.

ბლოგის ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ოპერატიულია.ასევე ისიც, რომ ადამიანს კრიტიკის წაკითხვა სპექტაკლის მეორე დღესვე, ნებისმიერი ადგილიდან შეუძლია. ბლოგის ოპერატიულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მალე განათავსებს ბლოგერი მიმოხილვას პლატფორმაზე. „10 წლის განმავლობაში ბლოგს 2 მილიონამდე მკითხველი სტუმრობდა, რომელიც ეცნობოდა კრიტიკოსის მოსაზრებას თანამედროვე ქართულ თეატრში მიმდინარე შემოქმედებით პროცესებზე, პრობლემებზე, საჭირბოროტო საკითხებზე, ბოლო ათწლეულის გამორჩეულ პრემიერებზე, თანამედროვე ქართული დრამატურგიის და თეატრის თეორიის, ისტორიის საკითხებზე. ბლოგზე 10 წლის განმავლობაში, ერთი ავტორის სულ 411 სტატიაა გამოქვეყნებული, მარტო 2019 წელს ბლოგს 800 000 მდე მკითხველი სტუმრობდა. ამ 10 წლის პედიოში საგრძნობლად განვითარდა ბლოგერობა ქართულ სათეატრო კრიტიკაში. ლაშა ჩხარტიშვილის ბლოგს მალევე შეემატა თეატრმცოდნეების: გიორგი ყაჯრიშვილის, მაკა ვასაძის, მანანა ტურიაშვილის, ნუცა კობაიძის ბლოგები, სადაც პერიოდულად ქვეყნდება თანამედროვე ქართული თეატრის ცხოვრების ამსახველი პოსტები."

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავიდან, ბლოგზე განთავსებულ ინფორმაციას საზოგადოება არ ენდობოდა, ისევე, როგორც ზოგადად, ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციას. ეს შეხედულება დროთა განმავლობაში შეიცვალა და ხალხს ბლოგების მიმართ ნდობა გაუჩნდა.

ლაშა ჩხარტიშვილის ბლოგის კითხვისას, ჩნდება შთაბეჭდილება რომ ავტორი გელაპარაკება. იგი კრიტიკას არ ერიდება და პირდაპირ, შეუფარავად წერს საკუთარ აზრს.

ხელის ჩრდილების თეატრის სპექტაკლის განხილვისას წერს: „იმის გამო, რომ სპექტაკლში არაფერი საინტერესო არ ხდებოდა, რუსთაველის თეატრის მცირე სცენის ჩაბნელებულ დარბაზში, დავიწყე ფიქრი უახლეს ქართულ თეატრზე და იმ პრობლემებზე, რომლის წინაშეც ბევრი ქართული თეატრი დგას. ვფიქრობდი არა მხოლოდ თეატრების დანაშაულზე მაყურებლის წინაშე, არამედ სახელმწიფოს მონიტორინგის არ არსებობაზე, უშედეგოდ და მილიონობით წყალში გადაყრილ ფულზე, ყველას წილ პასუხსიმგებლობაზე, მათ შორის, ჩემსაზეც. ვფიქორბდი იმაზეც, რომ იქნებ მონიტორინგის არსებობის (დონორი ორგანიზაციის მხრიდან) შემთხვევაში, ოდნავ მაინც შეიცვლებოდა სურათი ქართულ თეატრში, აისახებოდა ის პროცესზე, გაიზრდებოდა პასუხისმგებლობის შეგრძნება. როგორც იქნა წარმოდგენა დასრულდა. გავაცნობიერე, რომ სპექტაკლმა ნეგატიური გავლენა მოახდინა ჩემზე, გააქრო ჩემში ყველაფერი პოზიტიური, გააღვივა სასოწარკვეთა და გამაბოროტა კიდეც. პრემიერიდან რამდენიმე დღე გავიდა, მაგრამ ჩრდილების თეატრის „მათეს ვნებანის“ მიერ მოყენებული ტრამვები ჯერაც არ მომშუშებია.“

ლაშა ჩხარტიშვილი ვრცლად საუბრობს საქართველოში არსებული ფესტივალების შესახებ - მის მახასიათებლებზე, მაყურებელსა და პროგრამაზე. იგი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილავს ყველა ფესტივალს, რომელიც საქართველოში ტარდება. ესენია: მიხეილ თუმანიშვილის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „თბილისი ინტერნატიონალ“, კომედიური სპექტაკლების ფესტივალი და სხვა.

ლაშა ჩხარტიშვილის ბლოგი ძალიან ინფორმაციული, საინტერესო და გამოსადეგია მათთვის, ვისაც თეატრი უყვარს და მისი საქმიანობა აინტერესებს.

საქართველოს ინტერნეტ სივრცეში, 2019 წლის, 9 ივლისს გამოჩნდა ონლაინ პლატფორმა, https://www.theatrelife.ge/. სადაც განთავსებულია ყველაფერი, ამ სიტყვის სრული გაგებით, თეატრზე. ცალკე არის გამოყოფილი სივრცე, სადაც მხოლოდ რეცენზია და კრიტიკაა განთავსებული. ასევე, საიტზე განტავსებულია ინფორმაცია იმ ბლოგერების შესახებ, რონლებიც თეატრზე წერენ.

ისევე, როგორც ლაშა ჩხარტიშვილის ბლოგი, ეს საიტიც იდეალურია მათთვის, ვისაც თეატრში მინდინარე სიახლეები აინტერესებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტ სივრცეში არსებული ეს ორი მთავარი პლატფორმა, სრულად დამაკმაყოფილებელია იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც ეს სფერო აინტერესებს. ლაშა ჩხარტიშვილის ბლოგზე და საიტზე https://www.theatrelife.ge/ ხელმისაწვდომია ამომწურავი ინფორმაცია. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორივე საიტი ძალიან ოპერატიული და ხშირად განახლებადია და მკითხველს არ უწევს ლოდინი სიახლეების გასაგებად.

### 3.3 შედარებითი კვლევის შედეგები

შედარებითი კვლევისთვის ავიღეთ XX საუკუნის პრესა იმისათვის, რომ გვენახა ტელე-რადიო პროგრამები. ასევე ის თუ რა სიხშირით თამაშდებოდა სპექტაკლები და როგორ იღებდა ინფორმაციას ამის შესახებ საზოგადოება. ერთმანეთს შევადარეთ 1970 წლის, 1985 წ, 1987 წლის გაზეთები, 1970 წლის „თბილისი", 1985 წლის „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი" და 1987 წლის „ლიტერატურული საქართველო". „თბილისსა" და „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისში" ძირითადად ტელე-რადიო პროგრამებსა და აფიშებს ვხვდებოდით. სადაც დეტალურად იყო აღწერილი, (რომლის მაგალითებიც ზემოთ, ტექსტში მოყვანილია) თეატრებისა და სპექტაკლების დასახელება. 1970 წლის გაზეთში აფიშაზე არ იყო მითითებული სპექტაკლის დაწყების დრო და ბილეთის ფასი, არც რეჟისორის და მონაწილე მსახიობების სახელი და გვარი." დროთა განმავლობაში, იხვეწებოდა აფიშები და ხალხი. უფრო მარტივად და სრულყოფილად იღებდა ინფორმაციას გაზეთებიდან თეატრის აფიშის შესახებ.

რაც შეეხება საგაზეთო სტატიებს თეატრზე „თბილისსა" და „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისში" სტატიებს ვხვდებით იშვიათად, მაგალითად კვირაში 1-2 ჯერ, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როგორიც არის 14 იანვარი (თეატრის დღე).

ზემოთ ხსენებული ორი გაზეთისგან განსხვავებულია ყოველკვირეული „ლიტერატურული საქართველო", სადაც ორი თვის განმავლობაში 25 სტატია დაიბეჭდა თეატრის შესახებ. სტატიები შეეხებოდა ყვეკა საკიტხს თეატრის შესახებ. იქნებოდა ეს მსახიობი, რეჟისორი, ახალი სპექტაკლი, თეატრის პრობლემები თუ წარმატებები.

რაც შეეხება დღევანდელობასთან შედარებას, საკვლევად ავიღეთ მხოლოდ თეატრალური ჟურნალი „თეატრი". ის ადრე გამოდიოდა სახელწოდებით „თეატრი და ცხოვრება". ჟურნალს საუკუნოვანი ისტორია აქვს და ის ერთგვარი მემატიანეა ძირითადად ქართული თეატრის. ის ყურადღებას არ აკლებდა ქართველ კორიფე თუ დამწყებ მსახიობებს. იბეჭდებოდა რეცენზიები სპექტაკლებზე, პიესები, სტატიები, ინტერვიუები და სხვა. ჟურნალში დაბეჭდილი რეცენზია ოპერატიული არ არის. თეატრს კი სწრაფი და მყისიერი შეფასება სჭირდება. თეატრი ცოცხალი ორგანიზმია და მას ფარდის დახურვისთანავე სჭირდება შეფასება, დიაგნოზი, რომელიც შეიძლება იყოს ერთგვარი მაკურნებელი ძალა

სპექტაკლის გასაუმჯობესებლად, ან აქტუალობის შესანარჩუნებლად - ეს არის კრიტიკა. ასეთი ოპერატიულობა ჟურნალისათვის ნაკლებად მიღწევადია, თუნდაც იმიტომ, რომ ჟურნალი შეიძლება იყოს ყოველკვირეული და ორშაბათს ნანახი სპექტაკლის შეფასება, პარასკევს დაგვიანებული იყოს.

დღეისათვის, ყველაზე ოპერატიული და მოსახერხებელია ბლოგი. იგი ინტერნეტ სივრცეში, მარტივად განსათავსებელი და გასავრცელებელია. უდავოა, რომ ინტერნეტ სივრცე გაცილებით პოპულარულია და მეტი მკითხველი ჰყავს, ვიდრე ჟურნალ-გაზეთებს. ასევე, მკითხველის მიწერილი კომენტარი გაზეთში, მხოლოდ მკითხველთან რჩება, ხოლო ბლოგზე გამოთქმული აზრი სხვებისთვისაც ხელმისაწვდომია და ავტორთან დაკავშირების მარტივი გზაა.

შესადარებლად ავიღეთ XX საუკუნის ტელევიზიისა და რადიო პორგრამების თეტრალური გადაცემები და სპექტაკლები. როგორც კვლევამ გვიჩვენა, რაოდენობრივად დიდი განსხვავება გადაცემებს შორის არ არის, უბრალოდ იცვლებოდა სტატიების ფორმულირება, გადაცემის ფორმატი, რა თქმა უნდა თეატრალური, განსახილველი თემები, თეატრების რეპერტუარი, ჟურნალისტები და წამყვანები. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ადრინდელი ტელევიზიის სატელევიზიო ბადეში გაცილებით ნაკლები გადაცემა იყო და იქიდან დრო თეატრს მაინც ეთმობოდა, შეიძლება ითქვას, რომ გაცილებით მეტი კეთდებოდა თეატრის პოპულარიზაციისათვის.

დღეს შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დღეს მოქმედი მსახიობები ეკრანს არ აკლია. ისინი ცნობადები არიან, საუბრობენ ტელლევიზიაში, მაგრამ ნაკლებად თეატრზე.

## 4. დასკვნა

კვლევის დასაწყისში დასმულ კითხვას პასუხი გაეცა. ჰიპოთეზა, რომ ტრადიციული მედიასაშუალებები არასაკმარისად აშუქებენ თეატრალური ცხოვრების მიმდინარე მოვლნებს და ეს საზოგადოების ნაწილზე უარყოფითად აისახება,გამოყენებული კვლევების შედეგეად, დადასტურდა. რაოდენობრივმა კვლევამ ნათლად აჩვენა მედიაში თეატრის სიმწირის საერთო სურათი. კონკტენტ ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ რაოდენობის სიმწირესთან ერთად, გადაცემების შინაარსიც შეზღდულია. მართალია, არის რამდენიმე გადაცემა, „აჭარის", „საზოგადოებრივი მაუწყებლისა" და „ერთსულოვნების ეთერში", მაგრამ, თეატრი ძალიან ფართოა და არ ჰყოფნის.

ძირითადი მედია საშუალებების, თანამედროვე, დამხმარე ძალა, ბლოგი, საინტერესო და მნიშვნელოვანი მიგნებაა დღევანდელობისათვის. იგი შინაარსობრივადაც ეხმაურება თეატრის საკვანძო, ძირითად საკითხებს და ამომწურავად პასუხობს თეატრის ირგვლივ გაჩენილ ყველა კითხვას. თეატრი და საზოგადოება ვერ იარსებებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ეს არის ცოცხალი, ემოციური, კულტურული კავშირი, რასაც ხელშეწყობა სჭირდება, როგორც საზოგადოების, ასვეე, მედიის მხრიდან.

## 5. გამოყენებული ლიტერატურა


1. გაზეთი „თბილისი“ იანვარი-მარტი,  (1970 წელი, იანვარი-მარტი.)
2. გაზეთი „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“ 1985 წელი. იანვარი-ივნისი.
3. გაზეთი „თბილისი“ 1990 წელი, იანვარი.
4. თეატრი და ცხოვრება - რედაქტორი. გურამ ბათიაშვილი . 2000 წ. ოქტომბერი, ნოემბერი დეკემბერი. გამომ. გვ.13 და გვ 22. და გვ.55
5. ინტელექტუალურისა და რომანტიკულის ზღვარზე. ავტ. ვახტანგ ქართველიშვილი. გამომცემლობა კენტავრი. თბილისი 2006.
6. კულტურული ხიდი - თეატრი-მაყურებელი კრიტიკა: „ბერმუდის სამკუთხედი“ თუ „წმინდა სამება“. საკონფერენციო მასალების კრებული. (2010 წ. თბილისი 1-2 ოქტომბერი.) გამომცემლობა „კენტავრი“. თბილისი 2011. გვერდები. 7. ირინა ღოღობერიძე.
7. ლაშა ჩხარტიშვილი, ელენე ბაბაკიშვილი. - თანამედროვე ქართული თეატრი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. (გვ. 5, 7,50,144). გამომცემლობა - თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი. თბილისი 2013.
8. ლიტერატურული საქართველო 1987 წელი. იანვარი-მარტი
9. ქართული საბჭოთა თეატრი ოქტომბრის რევოლუციის XXX წლისთავზე. ( გვ. 3,,14,) ავტ. საქართველოს თეატრალური საზოგადოება. გამომცემლობა ხელოვნება. თბილისი 1948 წელი.
10. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/166728/1/Disertacia.pdf  გვერდი 10-36
11. „ჰამლეტი"; უილიამ შექსპირი, ტრაგედიები, I ტომი; „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა", გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"; თბილისი, 1980 წ.
12. https://bit.ly/2JvfNoG
13. http://lashachkhartishvili.blogspot.com/2019/05/blog-post_51.html
14. http://lashachkhartishvili.blogspot.com/
15. https://www.theatrelife.ge/
16. http://gurjaanitv.com/
17. http://ajaratv.ge/
18. https://www.imedi.ge/ge/radio
19. https://sstv.ge/
20. https://1tv.ge/radio/

დანართი



В Ъ  З А Л Ѣ  Т И Ф Л И С С К О Й  Г И М Н А З І И.

ВЪ ПОЛЬЗУ БѢДНЫХЪ ГОРОДА ТИФЛИСА.

ВЪ ПОНЕДѢЛЬНИКЪ 2^го ГЕНВАРЯ 1850 Г.

ДАНО БУДЕТЪ ПРЕДСТАВЛЕНІЕ 3^е

MICHEL ET CHRISTINE.

Comédie-vaudeville en un acte, par MM. Scribe et Dupin.

PERSONNAGES:

| | |
|---|---|
| Stanislas, soldat | M^r le P^ce Dondoukof-Korsakow. |
| Christine, jeune aubergiste | M^lle la Baronne de Meyendorff. |
| Michel, son cousin | M^r Minciaky. |
| Guillaume, garçon d'auberge | M^r Bachmakow. |

La scène se passe dans un village.

ЗА ТѢМЪ ПОСЛѢДУЕТЪ: ПРЕДСТАВЛЕНІЕ 1^е НА ГРУЗИНСКОМЪ ЯЗЫКѢ.

# ФРАЗДѢЛЪ.

Комедія въ трехъ дѣйствіяхъ, соч. Князя Эристова.

ДѢЙСТВУЮЩІЯ ЛИЦА:

| | |
|---|---|
| Князь Андукапаръ Дидебулидзе | Кн. И. Орбеліанъ. |
| Павелъ, братъ его | Кн. О. Эристовъ. |
| Иванъ, третій братъ его, отставной Капитанъ | Д. И. Кипіани. |
| Княгиня Макрина, жена Павла | В. Г. Андреевская. |
| Княжна Нина, дочь ихъ | К-жна. А. Орбеліанъ. |
| Макартъ Гаспаричъ Трдатовъ, торговецъ | Кн. Г. Эристовъ. |
| Татела, жена его | Княг. К. Орбеліанъ. |
| Шушана, дочь ихъ | К-жна. А. Орбеліанъ. |
| Князь Рамазанъ, секретарь | Г. О. Шаншіевъ. |
| Князь Бардзимъ | Кн. А. Эристовъ. |
| Баранъ Моуравъ | Кн. Н. Эристовъ. |
| Габріель, слуга Ивана | М. Е. Чилаевъ. |
| Имеретинъ, слуга Кн. Павла | Кн. Гр. Эристовъ. |
| Кардашферди, горничная въ домѣ Дидебулидзевыхъ | К-жна. М. Эристова. |
| Медіаторы, гости обоего пола, слуги. | |

1-е и 2-е дѣйствіе въ деревнѣ, 3-е въ Тифлисѣ.

| | |
|---|---|
| თავადი ანდუყაფარ დიდებულიძე | თა. ილ. ორბელიანი. |
| — — პავლე, მმა მისი | თა. ოქ. ერისთოვი. |
| — — ივანე, მესამე მმა, გადამდგარი კაპიტანი | დ. ი. ყიფიანი. |
| კნეინა მაკრინე, ცოლი პავლესი. | ვ. გ. ანდრეევსკაისა. |
| კნაჟნა ნინო, ქალი მათი. | კნაჟ. ან. ორბელიანისა. |
| მაკარტ გასპარიჩ ტრდატოვ, ვაჭარი | თა გი. ერისთოვი. |
| თათული, ცოლი მისი | კნეინ. ქეთ. ორბელიანისა. |
| შუშანა, ქალი მათი, | კნაჟ. ან. ორბელიანისა. |
| თავადი რამაზ, სეკრეტარი. | გ. ო. შანშიევი. |
| — — ბარძიმ. | თა ალ. ერისთოვი. |
| ბარან მოურავი | თა ნიკ. ერისთოვი. |
| გაბრიელ, ივანეს მსახური | მ გ. ჭილაევი. |
| იმერელი, პავლეს მსახური | თა გრ. ერისთოვი. |
| ყარდაშფერდი, დიდებულიძეთა მოახლე. | კნაჟ. მარ. ერისთოვისა. |
| მედიატორნი, სტუმარნი, მოსამსახურენი. | |

1-ლი და 2-რე მოქმედება [illegible] სოფელში; 3-მე ტფილისში.

Цѣна мѣстамъ какъ въ первомъ представленіи.

НАЧАЛО ВЪ 7½ ЧАСОВЪ.

დანართი 1.



# თეატრის გამარჯვება

ჩვენს ქვეყანაში დიდი წარმატებით მიმდინარეობდა პოლონური დრამატურგიის ფესტივალი, რომელშიც სხვა მხატვრულ კოლექტივებთან ერთად რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრიც მონაწილეობდა. რუსთაველებმა თავიანთ რეპერტუარში შეიტანეს დრამატურგ ზ. სკავრონსკის პიესა „მაესტრო“. მისი დადგმა განახორციელეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ და თეატრის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ლორთქიფანიძემ.

თეატრის ახალი დადგმა რუსთაველებთან ერთად თბილისელებმაც გულთბილად მიიღეს. წარმოდგენას ესწრებოდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის თეატრის მოღვაწეთა დელეგაცია, რომელმაც დადგმას მაღალი შეფასება მისცა და აღნიშნა, რომ დასი საუცხოოდ ჩასწვდა პოლონელი დრამატურგის ჩანაფიქრს, მშვენივრად გადმოსცა ჰიტლერული ოკუპაციის მძიმე ატმოსფერო და მსახიობები დიდი გატაცებით თამაშობდნენ. სტუმრებმა განსაკუთრებული ქებით მოიხსენიეს მაესტროს როლის შემსრულებელი ა. ვასაძე.

საკავშირო ჟიურიმ სსრ კავშირის სახალხო არტისტის მ. ცარიოვის თავმჯდომარეობით შეაჯამა ფესტივალის შედეგები. პირველი პრემია საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის მიენიჭათ მოსკოვის მაიაკოვსკის სახელობის თეატრის რეჟისორებს ა. გონჩაროვსა და ე. რადომისლენსკის წარმოდგენისათვის „მეექვსე წიგნის დასასრული“.

პირველი პრემიები ასევე წილად ხვდათ რეჟისორ გ. ლორთქიფანიძეს და მსახიობ ა. ვასაძეს.

ფესტივალის დიპლომებითა და წამახალისებელი პრემიებით აღინიშნა მოსკოვის გორკის სახელობის სამხატვრო და ერმოლოვას სახელობის დრამატული თეატრების, ლენინგრადის გორკის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ცნობილი დრამატული კოლექტივების წარმოდგენები.

ამრიგად, რუსთავის სახელმწიფო თეატრი, რომელიც არსებობის მესამე წელიწადს ითვლის, დიდი ტრადიციების მქონე კოლექტივებთან „დაუსწრებელ“ საპატიო პაექრობაში გამარჯვებული გამოვიდა.

დანართი 2



14 იანვარი — ქართული თეატრის დღეა

დიდი შემოქმედებითი აღმავლობით

დანართი 3

მხრებზე მოდებული ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირის მძიმე ტვირთის აწევა.

„დონ კარლოსმა" უნდა იქუხოს და გაგვახსენოს რანი ვიყავით, „დონ კარლოსმა" უნდა გვათქმევინოს რანი ვართ!

ახალი სიო გრიგოლის უპერტიურად უნდა გამოდგეს, რომ მაყურებლების ოვაციებში კვლავაც გავარჩიოთ:

— დიდება მარჯანიშვილს, მის სახლს, მის თეატრს.

**ვასო გოძიაშვილი**

სურათზე: თავად ლევანის პარტიას მღერის დებიუტანტი ლ. ასათიანი.

გ. ხანაიას ფოტო.



# ახალგაზრდების დებიუტი

ნახევარი საუკუნეა, ქართული საოპერო თეატრის სცენას ამშვენებს ვ. დოლიძის უკვდავი „ქეთო და კოტე". თითქმის ყველა ქართველი მომღერალი დაკავშირებულია ამ ოპერის გმირთა დაუვიწყარ სახეებთან.

ახლახან მსმენელმა კიდევ ორი ახალი შემსრულებელი გაიცნო — ნანა ჭონქაძე (ქეთო) და ლევან ასათიანი (თავადი ლევანი).

ამ ახალგაზრდებმა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია დაამთავრეს და საოპერო მომღერლის კარიერა ვ. დოლიძის გმირების განსახიერებით დაიწყეს.

ნ. ჭონქაძეს ლამაზი ლირიკული სოპრანო აქვს, რომელიც შესანიშნავად ჟღერს. იგი კარგად გრძნობს გმირის სულიერ სწრაფვას, მღერის გატაცებით და ქმნის შეყვარებული ქალიშვილის მიმზიდველ სახეს.

ქეიფსა და დროსტარებაში გალოთიებული და გაჭაღარავებული, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ ჯანმაგარი და იხტიბარგაუტეხელი — აი როგორია ლ. ასათიანის თავადი ლევანი. მომღერალს, ლამაზი ტემბრის ძლიერი ბარიტონი აქვს, იგი კარგად ფლობს ხმას, მღერის ტემპერამენტითა და ემოციით.

დებიუტანტებს მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს.

**რ. მაჩაიძე,**

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

**დანართი 4**



# თეატრი ხალხის სამსახურში

რაჩია კაპლანიანი,
სომხეთის თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე

# წინასაახალწლო პრემიერა

ახალწლის წინ მახარაძის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა თეიმურ აბულაშვილის ორნაწილიანი დრამა „თრინველების საქორწინო ცეკვები".

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ოთარ კიტალაძე, მხატვარი — მამია თუთაიშვილი, კომპოზიტორი — აჭარის ასსრ დამსახურებული მოღვაწე თენგიზ შამილაძე, ქორეოგრაფი — ავთანდილ დარჩია.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა შილუნა დონაძემ, მსახიობებმა — რევაზ სარიშვილმა, ეთერ მეჩიაურმა, სულიკო კიკვაძემ, ბელა კიკვაძემ, ნინო ჯულელმა, მილორსი ტოროტაძემ და სხვებმა.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან.

გიგლა გიორგაძის ფოტო

5

დანართი 5

# წინასაახალწლო პრემიერა

ახალწლის წინ მახარაძის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა თემურ აბულაშვილის ორნაწილიანი დრამა „თრინველების საქორწინო ცეკვები“.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ოთარ კატალაძე, მხატვარი — მამია თუთაიშვილი, კომპოზიტორი — აჭარის ასსრ დამსახურებული მოღვაწე თენგიზ შამილაძე, ქორეოგრაფი — ავთანდილ დარჩია.

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა შხლენა დონაძემ, მსახიობებმა — რევაზ სარიშვილმა, ეთერ მუჩიაურმა, სულიკო კიკვაძემ, ბელა კიკვაძემ, ნინო ჯულელმა, მილორსი ტოროტაძემ და სხვებმა.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

**სურათზე: სცენა სპექტაკლიდან.**

**გიგლა გიორგაძის ფოტო**



5

დანართი 6

# ხორცშესხმა სულისა



ნინო ანანიაშვილი — ჟიზელი — ადამიანური არსებობის ის გამოვლინებაა, როცა სხეული სავსებით ემორჩილება სულს: მის ყოველ მოძრაობას გამოხატავს, მის ყოველ მისწრაფებას განასახიერებს, მის ყოველ აღმაფრენას მიჰყვება ზესკნელში.

მუსიკით აღძრული ცეკვის ექსტაზში თითქოს მეორდება ღვთაებრივი შესაქმე — ხორცშესხმა სულისა; აღარ არსებობს უხილავი და მოუხელთებელი სული ნინოსი, ამ ხილული და მისხალ-მისხალ გასულიერებული ხორცის გარეშე. სულისა და ხორცის ეს ნაზავი თავად სინათლეა მზისა — ადამიანის აღნაგობით შემოგარსული და მიწაზე ცეკვითა და მუსიკით მიმოფენილი.

აქ ვერც იტყვი: ცეკვა და მუსიკა იქცევა ადამიანად, თუ ადამიანი გარდაისახება ცეკვად და მუსიკად. ო, როგორ განავრცობენ ისინი ადამიანობის ფარგლებს და როგორ ანდამატივით მოიზიდავენ მიწისკენ ვარსკვლავეთის იდუმალებას.

ეს არის მისტერია სიყვარულით ამაღლებისა. ცეკვის იეროგლიფებში ჩადებულია კოდი სამყაროს ჰარმონიის, კოდი სიყვარულის. ეს სიყვარულია მამოძრავებელი მზისა და ვარსკვლავთა: L'amor che move il Sole e l'altre stelle — როგორც იტყოდა „ღვთაებრივი კომედიის" შემოქმედი.

თამარ ერისთავი

დანართი 7



# ქართული თეატრის დღე

ტელევიზია, რადიო

14 იანვარს აღინიშნება ქართული თეატრის დღე. ჩვენი თეატრის ამ ტრადიციულ ზეიმს ფართოდ ეხმაურებიან ტელევიზიისა და რადიოს თეატრალური ხელოვნებისა და დრამატული პროგრამების რედაქციები.

ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემას წარუძღვება თეატრმცოდნე, პროფესორი ნათელა ურუშაძე, რომელიც მოგვილოცავს ქართული თეატრის დღეს, შემდეგ დაასახელებს მარჯანიშვილის სახელობის პრემიისა და „ხუთწლედის მატიანის“ პრემიის ლაურეატებს, თანამედროვე თემაზე შექმნილ წლის საუკეთესო სპექტაკლებს, მსახიობებს, თეატრის მხატვრებს; ნახავთ სცენებს დაჯილდოებული სპექტაკლებიდან; იქნება ინტერვიუ საქართველოს სსრ სახალხო არტისტ ედიშერ მაღალაშვილთან, რომელსაც 60 წელი შეუსრულდა.

გადაცემაში მონაწილეობს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბადრი კობახიძე.

14 იანვარს გთავაზობთ რადიოკომპოზიციას „ქართული თეატრის დღე“.

დანართი 8

# ჩვენი პრემიერა

## ნაძვნარა ტყის ზღაპარი

ტელევიზიით 18 იანვარს, 18.05

საქართველოს ტელევიზიის მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქცია გთავაზობთ საბავშვო მიუზიკლს „ნაძვნარა ტყის ზღაპარი“, რომლის ლიბრეტო ეკუთვნის გივი ჭიჭინაძეს, მუსიკა ამ ლიბრეტოს მიხედვით დაწერა ირმა სოხაძემ.

სპექტაკლში მსახიობების — სანდრო თომაძის, ირაკლი აფაქიძის, გიორგი ფირცხალავას, თემო ჭიჭინაძის, ირმა სოხაძის გვერდით მონაწილეობენ ნორჩი შემსრულებლები.

მიუზიკლში, აგრეთვე, მონაწილეობენ თბილისის პირველი მაისის რაიონის ქორეოგრაფიულ საზოგადოებასთან არსებული სტუდიის ნორჩი მოცეკვავეები.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ავთანდილ იმნაძე, მხატვარი — ნანა აბრამიშვილი, ქორეოგრაფი — ავთანდილ ძნელაძე, წამყვანი ტელეოპერატორი — გურამ გაფრინდაშვილი.

ძვირფასო ბავშვებო! გიწვევთ ცისფერ ეკრანებთან ჩვენს საახალწლო მიუზიკლზე.



დანართი 9


ასაკი
53 responses
39.6%
9.4%
45.3%
18-25
26-35
36-45
46-55
56+


სქესი
53 responses
22.6%
77.4%
მდედრობითი
მამრობითი

**დანართი 10**

დადიხართ თუ არა თეატრში?

53 responses




რომელ თეატრში ყოფილხართ თბილისში არსებული თეატრების გარდა?

48 responses




**დანართი 10.1**

რამდენად იცნობთ თქვენი კუთხის თეატრის შემოქმედებას?

52 responses




გინახავთ თუ არა სატელევიზიო გადაცემა თეატრზე?

52 responses




**დანართი 10.2**

რამდენად გაკმაყოფილებთ სატელევიზიო სივრცეში გასული სიუჟეტები თეატრის, ხელოვნების შესახებ?

53 responses




როგორ ფიქრობთ, საკმარისია თუ არა მედიაში გასული ინფორმაცია თეატრის პოპულარიზაციისათვის?

53 responses




**დანართი 10.3**

რამდენად აქტიური მაყურებელი იქნებოდით თეატრალური გადაცემის?

53 responses




რა სახის ინფორმაციის მიღებას ისურვებდით რეგიონულ თეატრებთან დაკავშირებით სატალევიზიო სივრცეში?

28 responses

- მათი პრობლემების, ყოველდღიურობის შესახებ
- აღწერას: წარსულის, აწმყოს და მომავლის შესახებ (აქცენტირებას მნიშვნელოვანი მოვლენებზე)
- უფრო მეტად რო აშუქევდნენ კარგი იქნებოდა იმისათვის, რომ ვიცოდეთ რა ხდება ჩვენს თეატრში, რა დონეზეა ის და რა სახის სპექტაკლებს უთმობენ დღეს უფრო მეტად ყურადღებას .
- დადგმული სპექტაკლების შესახებ ინფორმაციის
- Regionshi arsebuli teatris arsebonisa da shemoqmedebis shesaxeb
- სრული
- Rogor sheileba ufro dainteresebuli iyvnen axalgazrdebi teatrit
- რეგიონებში ბევრი ნიჭიერი მსახიობია და კარგიიქნება თუ მათ პოპულარიზაცია იქნება

დანართი 10.4

სქესი

73 responses




ასაკი

73 responses




**დანართი 11**

დადიხართ თუ არა თეატრში?

73 responses




ხშირად ესწრებით თუ არა სპექტაკლებს?

73 responses




**დანართი 11.1**


უმთავრესად, რისთვის მიდიხართ თეატრში?
68 responses
გავიგო რამე ახალი
8 (11.8%)
დასვენებისა და გართობის მიზნით
15 (22.1%)
ვნახო მსახიობების და რეჟისორების ნამუშე...
19 (27.9%)
ესთეტიკური სიამოვნებისთვის
44 (64.7%)
სულიერი საზრდოსთვის
1 (1.5%)
სიამოვნებას მანიჭებს
1 (1.5%)
0
10
20
30
40
50


განსაკუთრებით რომელი ჟანრის სპექტაკლები მოგწონთ?
70 responses
კომედია
29 (41.4%)
ფსიქოლოგიური დრამა
29 (41.4%)
ტრაგიკომედია
26 (37.1%)
ტრაგედია
10 (14.3%)
დრამა
1 (1.4%)
ჟანრს ვერ გამოვყოფ, მთავარია იყოს ხარის...
1 (1.4%)
დეტექტივი
1 (1.4%)
0
10
20
30

**დანართი 11.2**

რომელი წყაროებიდან იგებთ სპექტაკლის გამართვის შესახებ?

72 responses




რა საშუალებით უნდა შეიტყოს მაყურებელმა თეატრში არსებული სპექტაკლების შესახებ?

73 responses




**დანართი 11.3**

## რას შეცვლიდით თეატრში?

64 responses




## რას გაძლევთ თეატრი?

73 responses

ალბათ მეტ აღქმადობას, რითაც შემდეგ დიდ სიამოვნებას იღებ, რადგან თეატრი, მსახიობები, დიდ აღფრთოვანებას იწვევენ ჩემში, იგი საინტერესო და მეტად მსოფლმხედველურია, რაც თითოეულ ადამიანს საშუალებას აძლევს მიიღოს ის სიამოვნება, რომელიც მსახიობების უნიკალური როლის შესრულებით ხდება

იმას რაც ჩემს სულს აკლია, სულის საზრდოა, იმხელა ემოციას მაძლევს რაც შეიძლება მთელი წლის მანძილზე ვერ დამიგროვდეს

სულიერ საზრდოს განათლებას ხალხთან საზოგადოებაში ურთიერთობას პირველ რიგში და რაც მთავარია მახსენებს რომ ცხოვრება მშვენიერია და არუნდა გავრთულდეთ და უნდა ვიყოთ ლაღები და უნდა გაუფრთხილდეთ და გვიყვარდეს ერთმანეთი

ფიქრის საბაბს.

მაგალითს

სრულ კათარზისს

გვანახებს ცხოვრებას სხვა რაკურსით რეალობის სიღრმისეულ აღქმას

**დანართი 11.4**

## რას შეცვლიდით თეატრში?

64 responses




## რას გაძლევთ თეატრი?

73 responses

.

ესთეტიურ სიამოვნებას

თეატრი ხშირად მიცვლის წარმოდგენას ბევრ რამეზე, ხშირად მაფიქრებს... სულ სხვა სამყაროში გადავყავარ. არ შემიძლია არ აღვნიშნო რეჟისორი ჭოლა, რომელიც ჩემთვის ნომერ პირველია.

ესთეტიურ და ემოციურ სიამოვნებას

მრავალფეროვან შეგრძნებებს

მავსებს შინაგანად.

.

Sulier sazrdos

yvelafers

**დანართი 11.5**

## სიუჟეტის სცენარი

| N | ობიექტი | ქრონომეტრაჟი | ტექნიკური ხერხები და კომბინირებული საშუალებები | შინაარსი | ხმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კადრი სპექტაკლიდან | 8 წამი | გადასაფარი კადრები | | წამყვანის ხმა<br>„თეატრი საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის ყოველთვის საინტერესო იყო. ეს არის ადგილი, სადაც ცოცხლდება პიესის ყველა გმირი. ყველა მოქმედება და მაყურებელი ექცევა სხვა სამყაროს შემოქმედების ქვეშ. |
| 2 | თელავის თეატრის საერთოხედი. ექსტერირი | 5 წამი | | | წამყვანის ხმა |
| 3 | **ვაჟა ფშაველას პორტრეტი** | 3 წამი | | | წამყვანის ხმა |
| 4. | **თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი – გოგი ჩაკვეტაძე** | 90 წამი | | | საუბრობს თეატრის რეპერტუარზე |
| 5. | **ველისციხის თეატრის საერთო ხედი. ექსტერირი.** | 3 წამი. | | | წამყვანის ხმა |
| 6. | **ველისციხის თეატრის რეჟისორი – ომარ კაკაბაძე** | 120 წამი | | | საუბრობს თეატრის პრობლემებსა და შემოქმედებაზე |
| 7. | **გურჯაანის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი -გივი ტაბახმელაშვილი** | 130 წამი | | | საუბრობს თოჯინების თეატრზე და მის დანიშნულებაზე ბავშვებისათვის |
| 8. | **თელავის თეატრის სცენა** | 7 წამი | | | წამყვანის სიტყვები :„ვინ იცის მომავალში რამდნეი ბავშვი დაუბრუნდება თავის თეატრს. ისევ ახლაი ტაობისათვის, სიკეთისა და სიყვარულის გადასაცემად.“ |

**ავტორთა წვლილი პროექტში:**

შესავალი - მაკა გოგებაშვილი, ფატი სალუქვაძე

ლიტერატურის მიმოხილვა - მაკა გოგებაშვილი ფატი სალუქვაძე

რაოდენობრივი კვლევა - მაკა გოგებაშვილი, ფატი სალუქვაძე

კონტენტ-ანალიზი - მაკა გოგებაშვილი, ფატი სალუქვაძე

თეატრი რადიოში - მაკა გოგებაშვილი

თეატრი ინტერნეტ სივრცეში - ფატი სალუქვაძე

კვლევის შედეგები - ფატი სალუქვაძე მაკა გოგებაშვილი,

დასკვნა - ფატი სალუქვაძე, მაკა გოგებაშვილი

**პრაქტიკული ნაწილი**

ინტერვიუ ნიკა წულუკიძესთან - ფატი სალუქვაძე, მაკა გოგებაშვილი

სიუჟეტი - რეგიონული თეატრები - მაკა გოგებაშვილი

გადაცემა „თეატრალი“ - მაკა გოგებაშვილი, ფატი სალუქვაძე.

ტექნიკური მხარე - ფატი სალუქვაძე